საქართველო

წელიწადი მეხუთე | საშუაგათი, 23 ენკენისთვე 1919 წ. № 205 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

პინო-თეატრი. რუსთაველის პროსპ. № 21.
დასაწყისი 1 სეანსის 5 საათ., მეორე სეანსის 7 ნახ. საათ. მესამე სეანსის 10 საათ. საღამოთი. კასსა ღია 4 საათიდან.

მეორე სერია 6 აკტად. დღეს იქნება ცნობილი ამერიკული სურათი, რომელმაც გამოიწვია დიდი სკანდალი ამერიკის ვაჭარ-მრეწველთა წრეებში

ბრძოლა სპეკულიაციასთან
ანუ შავი ჭვეყანა

ამ სურათზე დაინახავთ ამერიკის ბრძოლის საშვალებთ სპეკულიაციასთან. შესვლა შეიძლება მხოლოდ თითოეულ სეანსის დაწყებისას.

პროგრამის გარდა ნაჩვენები იქნება ეხლა ხანს პარიზიდან ახლად მიღებული

ანტანტის მიე საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა

აქ ჰნახავთ ისტორიის შემოქმედებას: კლემანსოს, ლლოიდ ჯორჯს, ვილსონს, პუანკარეს გერმანიის რესპუბლიკის ნეიტრალურ ქვეყნების წარმომადგენლებს, რომელთა სახელებით სავსეა პრესა

ეროვნის ხმოსანთა საყურადღებოთ!

თბილისის მაზრის ერობის გამგეობა იწვევს ამა წლის 28 სექტემბერს მაზრის ხმოსანთა

არაჩვეულებრივ სრულიად

(რუსთაველის პრ. № 6) სხდომა გაიხსნება დილის 10 საათზე.

2—2563—1 გამგეობა

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

1-ლი ხარისხის რესტორანი

პირველი სასაოლიციო უბანი. სატიოზედ ბორჩის ძანლობლად

იკითხეთ ლეჟავა

1—2562—1

განუსაზღვრელი თვითნებობა

ჩვენი მმართველობის წარმომადგენელნი განუსაზღვრელ თვითნებობას იჩენენ ყოველგან და ყოველთვის. საზოგადოებაც თითქოს მიეჩვია თავის ახალი ბატონების ასეთს ხნეს და ძვირად თუ ვინმე გამოედავება მოხელეთა ალვირწახსნილს მოღვაწეობას.

ასეთი ვითარება ხრწნის ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და მას საბოლოოდაც დაშლის, უკეთუ მართველობის და თვით საზოგადოების გონიერმა ნაწილმა მეტი სიმტკიცე არ გამოიჩინა მის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამწუხარო მმართველობის ბოროტმოღვაწეობის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ძვირად თუ ვინმე ბედავს. საზოგადოებას ჯერ კიდევ არ აქვს საკმაო კარგად შეგნებული, რომ მთავრობის აგენტებისა და წარმომადგენლების ბოროტ მოღვაწეობის მიმალვა, ხელის დაფარება უდიდესი დანაშაულია სახელმწიფოს წინაშე. მაგრამ საზოგადოების ასეთი უყურადღებობა მმართველობის უკანონო მოქმედებათა შესახებ მარტო მისი შეუგნებლობით არ აიხსნება. დღევანდელს მდგომარეობაში, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვისა და კრების თავისუფლება ჩვენ სახელმწიფოს ძირითად კანონად გვაქვს აღიარებული და დამოუკიდებლობის აქტში შეტანილი, თავისუფალ სიტყვის თქმა ხშირად დიდს გამბედაობას და მოქალაქობრივ სიმტკიცეს მოითხოვს. ამა თუ იმ წვრილფეხა მოხელის უკანონო მოღვაწეობის აღნიშვნა ბუნტად და კონტრ-რევოლიუციად ინათლება. სიმართლის აღდგენა და დანაშაულის გამოაშკარავება ასეთს პირობებში თითქმის შეუძლებელია. თუ ვინმე რომელიმე ბოროტას შეეჯახეთ რაც უნდა სიმარტლე გქონდეს არ გაქვთ გარანტია, რომ ამ სიმართლეს დაიცავთ და ბოროტებას გამოაშკარავებთ. ასეთი მოვლენა კიდევ უფრო მოიდგამს ფეხს. და დამკვიდრდება ჩვენს ცხოვრებაში თუ საზოგადოება მუდამ პირში წყალ-დაგუბებული დარჩა და ადვილ წახსნილ მოხელეთა ტერორის შიშით მათ ბოროტმოღვაწეობას ხელი დაიფარა.

ადმინისტრაცია და სასამართლო ჩვენი უმსგავსო პოლიტიკით დამბლა დაცემულია. ის უკვე ალარ არის ბასრი იარაღი კანონიერების დასაცავად. მას უფრო ხშირად ბოროტებისა და ხალხის წინაშე დანაშაულს იარაღად იყენებენ. მხოლოდ მოქალაქეთა გამბედაობა, თავის უფლებათა შეგნება და დაფასება თუ შეანძრევს ამ დაავადებულ სხეულს და სულს ჩაუდგამს მას.

თუ სადმე დარჩენილა ჩვენში საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები საღი, შეურყეველი სახელმწიფოებრივი სულით, მთელი თავისი ყურადღება ამ საშინელს სენს უნდა მიაქციონ. ადვირახსნელობისა და თვითნებობის საფუძველზე უფლებრივი სახელმწიფო არ შეიქმნება. მოქალაქის პირადი თავისუფლებისა, მისი კანონიერი უფლების დაცვისთვის ბრძოლა დღეს არის ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ასეთი ბრძოლა ეხლა კიდევ უფრია საჭირო, ვინემ ძველი რეჟიმის დროს, ვინაიდან მოქალაქის კანონიერი უფლებები ეხლა კიდევ უფრო ცუდათ არის დაცული, ვინემ, წინეთ. თვითნებობას არასოდეს არ ჰქონია ისეთი ძალა და გასავალი, როგორც ეხლა და უბრალო მოქალაქე არასოდეს არ ყოფილა ისე უშველო და უნუგეშო, როგორც დღეს.

თითეული მოქალაქის უფლებათა შელახვას საზოგადოება ველარც კი ამჩნევს, ის საერთო მოვლენად გახდა. მთელი სოფლები მაზრები და ქალაქებიც „დაუსჯიათ“, გაუნადგურებიათ ამა თუ იმ წვრილ-ფეხა ახალი ტიპის მოხელის გაგლისთვის. ეკზეკუციები და ექსპედიციები იგზავნებოდა და იგზავნება უკეთუ ეს პატარა სატრაპები სადმე თავის საწინააღმდეგო რამეს დაინახავენ. ასეთ ყოფაში ადვილი გასაგები ხდება ის მასსიური ბოროტ-მოქმედებანი და მშვიდობიან ხალხის აწიოკებაც, რამაც ბოლო დროს უხვად გაიდგა ფესვები რესპუბლიკის ყველა ადგილებში.

დროა უმწეო ფრაზეოლოგიას გამოვეთხოვოთ. შეძრწუნებულ ხალხს ამდენი ხნის წვალების შემდგომ მაინც ვაღირსოთ ეღემენტარული მოქალაქობრივი ცხოვრება.

დამოუკიდებლობისათვის

ხალხო გვარდიაში)

სახალხო გვარდიელების ყრილობაზე ჰიავარი შტაბის მონდობილობით მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ მოხსენება წაიკითხა: „თანამედროვე მომენტი და სახალხო გვარდიის მიზნები.“

ამ მოხსენებაზე ღირს შევაჩეროთ ქართველი საზოგადოების ყურადღება.

მოხსენების წაკითხვამდე ჯერ, როცა შეეტყვეთ სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელის განზრახვა ზემოაღნიშნული სათაურით სახალხო გვარდიელების წინაშე წარდგომისა, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ სახალხო გვარდიელებს განვმარტებოდათ საქართველოს დღევანდელი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ვითარება, მისი საერთაშორისო მდგომარეობა, ის შანსები, რომელნიც ჩვენს დამოუკიდებლობის განმტკიცებას ხელს უწყობენ, დაბრკოლებანი საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ აღმართულნი და საზოგადოთ სოციალ-პოლიტიკური სიტუაცია მონობისაგან თავდახწეულ სახელმწიფოისა. მეორე თეზისი მოხსენებისა უფრო ნაკლები მნიშვნელობისაა, რად განაც ისედაც იგულისხმება, რომ ყოველმა შეიარაღებულმა ძალამ რა სახისაც უნდა იყოს იგი, მთელი თვისი შესაძლებლობა სამშობლოს დაცვა და მყუდროების დამყარებას უნდა მოანდომოს.

მოლოდინი არ გაგვიმართლდა ოდნავაც: უდიდესი ნაწილი მოხსენებისა იმის მტკიცებას მოანდომა ნოე ჟორდანიამ, რომ ნაადრეადყო აიდეტორიზესათვის რუსეთის წყობილების ანტიდემოკრატიული მიმართულება, ბლანკისტური ჯგუფების უზურპატორული გაბატონება მშრომელ ხალხზე ამ მილეწ-მოლეწილ სახელმწიფოში და ამისთვის დაეპირისპირებინა საქართველოს საარაკო ხალხოსნური წესები და სრული გაბატონება დემოკრატიისა. მომხსენებელი სკეპტიკურად უყურებს რუსეთის ახლო მომავალს და დასძენს: „ვინაიდგან იქ დემოკრატიული სულისკვეთება და პოლიტიკური დემოკრატიის დამყარება არ მოხდება ახლო მომავალში,—ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენთვის დამოუკიდებლად“.

„ერთობის“ ფურცლებზედაც ხშირად ამოგვიკითხავს ანალოგიური განმარტება საქართველოს დამოუკიდებლობისა. ამ გაზეთის პუბლიცისტები დაუფარავად ამტკიცებენენ, რომ თვით მყოფი სამშობლო მათთვის ფეტიში არ არის და ხელსაყრელ დროს ისინი შეეცდებიან ამა თუ იმ სახით შეკედლნენ რომელიმე დიდ სახელმწიფოს. თავის თავად იგულისხმება, რომ სოციალდემოკრატები რუსეთთან შეთანხმებაზე ლაპარაკობენ ყოველ კერძო შემთხვევაში.

[illegible] საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა საგრძნობი რებულ იქნა: მოწინავე სოციალ-დემოკრატიული წრეები ათეულ წლობით იმ აზრს ითვისებდნენ ლიდერებისაგან, რომ საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება სოციალ-დემოკრატიული თვალხედვით მიუღებელია, როგორც ეკონომიურ განვითარების შეშაფერხებელი ფაქტორი. ვინ არ იცის, რომ ეკონომია სოციალ-დემოკრატიის ფეტიშია და მათ მოღვაწეობის ქვაკუთხედად არის მიჩნეული ყოველს საკითხზე. ისიც აშკარაა, რომ ოქტომბრის ცნობილი გადატრიალება რომ არ მომხდარიყო რუსეთში, და პოლიტიკის სათავეში აქსელროდის ტიპის ადამიანები დარჩენილიყვნენ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას სასტიკად წინააღუდგებოდნენ ყოველის უწინარეს ქართველი მარქსისტები.

თავისთავად სუვერენული საქართველო არაფერია ხოციალ დემოკრატიისათვის. ქართველი ერის ნაციონალური თავისუფლება მარქსისტების თანაგრძნობას ალოდეს იწვევდა. ერის ისტორიულ-ეროვნულ მომენტს ისინი ანგარიშს არ უწევდნენ და უფლებების დაბრკოლებაზე ზრუნვა, ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლა მათ მიაჩნდათ ფეოდალურ წესწყობილების მიტრფიალეთა ახირებულ პრეტენზიათ.

დღეს ასეთი „უკულმართობა“ ფაქტია. დამცინავ ბედმა დამოუკიდებელ საქართველოს მესვეურობა სწორედ სოციალ-დემოკრატებს მიანიჭა.

როგორ ესმით მათ ეს მოვლენა? სოციალ-დემოკრატები საზოგადოოთ გულ ახლილი ხალხია და საქართველოს დღევანდელ ყოფა ცხოვრებაზეც აშკარად ღიაღიბენ შინ და გარეთ. საქართველოს ჰეგემონობენ სოციალისტები, ჩვენში გამეფებულია „ნამდვილი დიქტატურა მუშებისა და გლეხებისა“, სოციალისტური აპარატი ისეთ ყაიდაზეა ამუშავებული, რომ „კაპიტალისტიც იძულებულია თავი მოიხიაროს ამ ფაქტის წინაშე და დაემორჩილოს სოციალისტურ რეფორმებს“, გვარდია „იცავს თავის თავს, —საქართველოს მუშების და გლეხობის ბატონობას“,—ერთი სიტყვით, საქართველოს ხელმძღვანელების მბრუნველობის საგანს სოციალური და უფრო კი სოციალისტური რეფორმების აჩქარებული შემოღება შეადგენს.

ეროვნული პრიმატი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებას რომ შეადგენს, სოციალ-დემოკრატების სამოქმედო გეგმიდან უმოწყალოდ განდევნილია.

ასეც უნდა ყოფილიყო: დამოუკიდებელი საქართველო სოც.-დემოკრატებს ესაჭიროებათ, როგორც **საშუალება** მხოლოდ, რომ ამ გზით **დღევანდელ პირობებში, რაცა სხვა გზა არ არის და რუსეთი გერ განრღვეულია, გაიადვილონ** საბოლოო მიზნისაკენ. სოციალ-დემოკრატებს სჩანს, რომ დემოკრატიულ რუსეთის ფარგლებში ყოფნისას უფრო ადვილი მოსახერხებელი იქნებოდა სოციალიზმისათვის ბრძოლა, მაშასადამე, სოციალ-დემოკრატებს მეტ ზეგავლენა თავის ენერგიისას რუსეთის საქმეთა მოგვარებას უნდა ალევდნენ.

საქართველოს თავისუფლების მეორე წლის გადახრაში გაუგებრობას უნდა იწვევდეს დამოუკიდებლობის ამგვარ ინტერპრეტაციით წარდგომა თუნდაც სახალხო გვარდიელების წინაშე. ანონიმ პუბლიცისტებს „ერთობიდან“ შეუძლიანთ ივარაუდონ დამოუკიდებლობის სპეციფიურ ახსნაში, მათ ვინ უშლის უარჰყონ „ფეტიში“ და ზღვა-ცრემლი აფრქვიონ დიდი-რუსეთის დაშლის გამო!—„რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლის“ მდგომარეობანებას არ უნდა აძლევდეს მომხსენებელს „დიდი ისტორიული აქტი, **აღმოცენებული არა შემთხვევით** (ხაზი ჩვენია), არამედ დიდი ისტორიულ აუცილებლობასა და ფაქტზე“—დაუსურათოს გვარდიელებს, როგორც აქტი იძულებითი და ისიც წარმავალი, შემდგომში გამოსასწორებელი, „როცა რუსეთის ხალხი ამ მდგომარეობიდან გაძოვა და ისიც ისეთივე დემოკრატიული წყობილებით და სუვერენიტეტით იქნება გამსჭვალული, როგორც ჩვენ“...

დამოუკიდებლობა საქართველოისა უნდა შევიწყნაროთ იმისდა მიუხედავად, რა გზას დაადგება ეხლა, თუ შემდგომში რუსეთის ხალხი. რა კავშირი აქვს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას რუსეთის დაუდგრომელ და მერყევ ხალხის ფსიქოლოგიურ ცვალებადობასთან? არავინ გვიშლის მასიან დამეგობრებას, მხოლოდ ნუ შთავანთქმევინებთ რუსის ხალხს წვალებითა და სისხლით შესყიდულ ემანსიპაციას, ქართველი ერისა!

თუ საქართველოს დამოუკიდებლობას ფასი აქვს სოციალ-დემოკრატებში ეს იმიტომ, რომ საქართველოში მათი, სოციალ-დემოკრატების, ბატონობაა, რომ „არც ერთს უცხო სახელმწიფოში არ არის დღეს მუშათა პარტიის ბატონობა“, გარდა საქართველოისა.

რას ჰნიშნავს ეს? მხოლოდ ერთს: სოციალ-დემოკრატები თავის მიმდევრებს საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად მოუწოდებენ, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველო სოციალ-დემოკრატიის ხელში იქნება, მაგრამ, რადგანაც პოლიტიკაში მოულოდნელი ცვლილებები ხდება და შესაძლებელია სხვა მართებლობა და წესები ჩვენშიაც, სრულებით დარწმუნებული ვართ, რომ „კურსის“ შეცვლასთან ერთად სოციალ-დემოკრატია პირველი აუმხედრდება დამოუკიდებლობას.

რადგანაც ხსნა ერისა, მიმხსენებლის აზრით, „მხოლოდ სოციალისტ[illegible] გვმართებს „მზად ყოფნა, თუ ევროპაში სოციალურმა რევოლუციამ იფეთქა, ჩვენ უმორჩილ და უჩხუბოდ შეგვეძლება ამ სოციალური რევოლიუციის აქ მოხდენა...

მაშ, სხვა არავითარი ღირებულება არ ჰქონია საქართველოს განთავისუფლებას, გარდა იმისა, რომ აქ სოციალ დემოკრატიის შეცადინეობით საფუძველი ეყრება ისეთ ურთიერთობას, როდესაც „უმორჩილ და უჩხუბოდ შეგვეძლება სოციალური რევოლიუციის აქ მოხდენა“! ერი მთელი სოციალ-ფსიქოლოგიურ ატრიბუტებით ჩვენ მიგვიჩნდა განთავისებულ ისტორიულ კატეგორიად, რომელიც, გარეშე კლასსობრივ „ომისა და ჩხუბის“ მოგვარებისა, კულტურასა და ცივილიზაციას სხვა მხრითაც ემსახურება! სოციალური პრობლემების ამოცნობით და კლასსობრივ დიფერენციაციის გაღრმავებით არ ამოიშრიტება ერის დანიშნულება და მიზნები...

არც ერთ ასეთ „მომენტზე“ არ შეჩერებულა მომხსენებელი, მიუხედავად იმისა, რომ ლექცია-მოხსენებას „მომენტის“ განმარტება წინმიეძღვნა!

საქართველოს მილიტარულ ორგანიზაციის ისეთ ნაწილს, როგორსაც წარმოადგენს სახალხო გვარდია, ერის სხვა „მომენტების“ ახსნაც მეტად გამოადგებოდა, მით უმეტეს, რომ გარეშე მტრებთან ბრძოლაში ხშირად „სხვა მომენტები“ სჩრდილავენ სოციალურ მხარეს, აღემატებიან კლასთა ბრძოლის სფეროს. ამაზე მითითებას, სხვა რომ არა იყოს რა, გამარჯვების სურვილს გააორკეცებდა საომრად განმზადებულებში! ახლო წარსულშიც ზოგიერთ უცნაურ მოვლენას ალაგი არ ექნებოდა ჩვენს საომარ ხაზზე.. ინტერნაციონალიზმის და კლასთა შეღლის მცნებაზე ალზრდამ ბევრი სიფრთლე მიაყენა ქართულ ეროვნულ „მომენტს“...

საქართველოს სასწაული თუ ინახავს ამ ხნის განმავლობაში! დასერილ-გაძვალტყავებული, ის მომავლით სცხოვრობს მხოლოდ: სახელმწიფოს სხეული გასამრთელებელია, უდავო მიწა-წყალი შემოსაერთებელია—ვინ ზრუნავს ამაზე? ამ „მომენტზე“ ზედმეტი არ იქნებოდა „შეიარაღებულ დემოკრატიის“ ყურადღების მიქცევა!

უკანასკნელი ცნობები

ბოლშევიკებმა კურსკი დასტოვეს.

მწვანეები ტუაფსეს დაეცნენ.

დონის ოლქში ყაზახების მობილიზაცია გამოცხადდა.

ბესარაბიაში გლეხთა აჯანყება დიიწყო.

შვეიცარიაში მე-3 ინტერნაციონალის შეერთებისათვის მისცა ხმა 3280, ხოლო წინააღმდეგ 13.975 სოციალისტმა.

ბრესლავში არეულობა მოხდა.

ბოლშევიკებმა ტყვედ ჩაიგდეს კოლჩაკის მე-7 და 8 ყაზახთა მე-22 და 29 ორენბურგის პოლკები.

დენიკინის ნაწილებმა ცარიცინის მიდამო დასტოვეს.

სოციალ-დემოკრატებს ბევრი რამის გაკეთება შესძლებიათ: „ჩვენ შეგვიძლიან—მომხსენებელი ამბობს—დღეს შევიდეთ დამფუძნებელ კრებაში და გამოვაცხადოთ აქ სოციალიზმი“. მართალია, დამფუძნებელ კრებაშიც და მის გარეთაც უთვალავი ასეთი ექსპერიმენტები ხდება და ბევრს შემთხვევაში „ეკონომიური შეუძლებლობაც“ მხედველობიდან განდევნილია„ მაგრამ ამ „საქმიანობამ“ ქვეყანა გახრწნა და სამარის კარამდე შიიყვანა.

ჩვენ გვერწმუნა, თუ მართლა ასე უხვად აქვთ სოციალ-დემოკრატებს შესაძლებლობის პოტენცია დაგროვებული, მცირედათ მაინც იმისთვის გამოიყენებინათ იგი, რომ ყოველს მათი სისტემით აღზრდილ ქართველს სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვა უმთავრეს სამოქმედო „მომენტად“ დაესახა... და არა ეხლა მხოლოდ!

რ. ინგილო.

სასამართლო

ყალბ ასიგნებით ფულის წალება

(გაგრძელება)

19 მარტამოსთვის სხდომა

საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარემ ბ-ნი ივ. ჯაფარიძე ხსნის კრებას დილის 10 საათზე და განაგრძობს მოწმეთა დაკითხვას.

ბერიძის დამცველი გრ. გიორგაძე სთხოვს სასამართლოს კვლავ გამოწვეულ იქმნენ დასაკითხათ მოწმენი: სახელმწიფო კონტროლიორი გოგიჩაიშვილი და ლლონტი. სასამართლო ადგენს შეწყვეტილებულ იქმნას დამცველის შუამდგომლობა ვინემ კი განაგრძონ სხვა მოწმეთა დაკითხვა.

მოწმ. ნიორაძე. ხაზინის ბუღალტერი მოუთხრობს სასამართლოს წესს ხაზინის მიერ ასიგნების მიღებისას და დაძცველ პ. ქავთარაძის შეკითხვაზე ნახა თუ არა მოწმემ ის პირი რომელიც ზოტიკაშვილის გვარით მოვიდა ხაზინაში თუ არა ნიორაძე უპასუხებს რომ ნახა მან გადასცა დოკუმენტი თავის ვინაობისა ახსოვს რომ მსუქანი დაბალ-დაბალი კაცი იყო.

მოწმ. ლლონტი. ბერიძის დამცველ გრ. გიორგაძის შეკითხვაზე თუ სამხედრო კონტროლიორი წინეთ მუშაობდა და ჯამაგირს რომელს კრედიტიდან იღებდა, ამბობს რომ არ ვიცი ჩვენ ფულის ტრიალის მოწესრიგებასთან გვაქვს საქმეო. ფულს იმაზე დავწერთ საიდანაც მივიღეთ ტალონი. ფაქტიურად ვინ მოიტანა ტალონი იმას არ ვაქცევთ ყურადღებას. ბერიძის შეკითხვაზე არის თუ არა ნორმები შემუშავებული მოწმე ამბობს რომ ეს დამოკიდებულია გარემოებებზე. ჩვენს დროს გახლდა ნორმა.

მოწმე ჯაფარიძე. ყოფილი სამხედრო კოსტროლიორი თანახმათ სასამართლოს დადგენილებისა მოუთხრობს სასამართლოს ისტორიას სახელმწიფო კონტროლის დაარსებისას და იმ დაწესებულებისა რომელიც კონტროლის დაარსებამდე არსებობდა. ქართული კორპუსი აღარ არსებობდა და იგი ჩვენ გადავაკეთეთ მაშინ „სამხედრო კონტროლად ქართული ჯარისა“ ფულს სამხედრო უწყების საერთო კასიდან ვიღებდით, ხოლო კონტროლის უწყებაში ვირიცხებოდი. მე ბ. გოგიჩაიშვილთან ვმუშაობდი და ჩემ მაგიერ კობიაშვილი დავტოვე და ვაფრთხილებდი მუყაითობაში. სულ 9 განყოფილება გვაქვს კონტროლში სამ სექციად დაყოფილი.

მოწ. გოგიჩაიშვილი. სახელმწიფო კონტროლიორი მიუთხრობს აგრეთვე ისტორიას სახელმწიფო კონტროლიორის დანიშვნისა, რომ იგი მხოლოთ თიბათვეში იქმნა არჩეული სახელმწიფო კონტროლათ სანამ კი ის ამ თანამდებობის ნაცვლათ კომისარი იყო ამიერ-კავკასიის. კრედიტებს იღებდენ ძველი წესით საკანტროლო პალატა სწერდა.

მ. დეკანოზიშვილი უყარს ყოფს თვის გვარსა და სახელს ყალბ ასიგნებზე მოწერილს. ამასვე ამტკიცებენ მოწმენი ქარუმიძე და მაჭავარიანი. ამის შემდეგ დაკითხულ იქმნენ ხაზინადარი თბ. ხაზინისა ვ. ა. კორინთელი ადმინისტრატიულ ნაწილის უფროსი პავლოვი და საქმის მწარმოებელი კოზირევი და ალშიბაია.

მოწ. ალშიბაიას სხილაძის დამცველ პ. შეკითხვაზე თუ რას ამბობდენ ციხეში სხილაძე რომ მიიყვანეს ამბობს რომ მასზე იძახდენ „დავიღუპეთ უმედური მოხეციო.

თავმჯდომარე თქვენ რომ ადგენდით კობიაშვილი ამ ყალბ ასიგნებს გქონდათ თუ არა რამე გარანტია.

ბრალდებული კობიაშვილი. არავითარი ძე მივდიოდი რისკზე

თავმჯდომარე. აი მოისმინეთ ეხლა ვრცელი ჩვენებანი ყველა მოწმეებისა ეხლა რას იტყვით სდგეხართ თუ არა წინანდელ პოზიციაზე და იცავთ თუ თუ არა კვლავ ბრალდებას ბერიძის წინააღმდეგ თუ არა?

კობიაშვილი ვიცავ.

დამცვ. მესხიშვილი ამ საქმის გარდა გვითხრას კობიაშვილმა იყო თუ არა წინათაც სასამართლოს მიერ პასუხისგებაში მიცემული სხვა საქმეზე.

კობიაშვილი არ მსურს პასუხი გაგცეთ და ისტერიულ ძახილით არ. მსურს არ მსურს“ ეშვება საბრალმდებლო მაგიდაზე. მისი დამცველი დოლუხანოვი წინადადებას იძლევა რომ კობიაშვილმა დაასახელოს რომ იგი სასამართლოში წინეთ იყო მიცემული რომანიულ ნიადაგზე ჩადენილ ბოროტ მოქმედებაში. კობიაშვილი არას ამბობს თვალებზე ხელაფარებულია. სხილაძის დამცველი პ. ქავთარაძე ეკითხება კობიაშვილს რამდენ საათზე ჩააბარა კობიაშვილმა ფული სხილაძეს.

კობიაშვილი ნაშუადღევის 3 საათ.

პ. ქავთარაძე. იცოდა თუ არა სხილაძემ რომ ფულს ყალბ საბუთებით

კობიაშვილი. იცოდა.

პ. ქავთარაძე. მთელ ამ საქმეში იყო ჩახედული იგი და გაცნობილი თუ არა.

კობიაშვილი. ყველა საქმეში არ იყო გაცნობილი.

პ. ქავთარაძე. და როცა დარწმუნდა რომ სრულ ყალბე ეღარ სუფევს ფულის მიღებას დასთანხმდა მხოლოდ მაშინ არა.

კობიაშვილი. ეგრე იყო.

პ. ქავთარაძე. ფული მიეცით ჯილდოს სახით თუ არა.

კობიაშვილი. ჯილდოს სახით მივეცით 77 ათასი მანეთი.

პ. ქავთარაძე თხოულობს რომ შეტანილ იქმნას ოქმში რომ მეორე ბრალდებული ბერბაქაძე იძახის მივეცით 50 ათასი მანეთი კობიაშვილი კი 77 ათასს ასახელებს.

თავმჯდომარე სხილაძეს ეკითხება რამდენი მიიღო მან.

სხილაძე. ათას ორმოცდა ათი თუ მანი.

თავმჯდ. რა არის თქვენი ბარბაქაძე.

სხილაძე. სისხლის მონათესავეა.

თავმჯდ. რისთვის იძახის კობიაშვილი მას მივეცით 77 ათასი მანეთი.

სხილაძე. მე მგონია კობიაშვილს უნდა გაებათილებიათ.

თავმჯდ. ამხ. კარასიოვი. ხომ არ ასწავლიდით ბარბაქაძევ თქვენ და კობიაშვილი სხილაძეს ასიგნების სიყალბის საქმეს.

ბარბაქაძე. არა.

კარასიოვი. მაშ რაი აჩვენებთ თქვენ წინასწარ გამოძიებაზე რომ სასტუმრო „ევროპაში“ საცა დააყენეთ სხილაძე ასწავლეთ როგორ მიიღოს ყალბი სიგნობა და გააცანით მას. (კითხულობს ამ ჩვენებას).

ბარბაქაძე რეევაშია. სულ ერთია ეგრე მოგახსენეთ მეც.

ბრალმდ. ყანჩელის წინადადებით ბ. კარასიოვი კითხულობს ჩვენებას გენ. ციციშვილისას.

თავმჯდ. ბ. ბერიძე თქვენ მოისმინეთ მოხსენება ციციშვილისა რატომ არ მოახსენეთ მას 19 ასიგნების გაშვების შესახებ.

ბრალდებული ბერიძე. მე მოვალე ვარ გახლდით ამისა.

თავმჯდ. ეკითხება სხილაძეს: ბერიძე რომ მოიყვანეს ციხეში რას იძახდა კობიაშვილი.

სხილაძე ასე მოგახსენებდა ნუ და მაჭერინებდა და არც მე დავაჭერინებდიო. თავმჯდომარე სხდომის 5 წამით სწყვეტს.

ბრალდებლის სიტყვა.

კრების განახლებისას სიტყვა წარმოსთქვა ბრალმდებელმა ალ. ყანჩელმა; ბრალმდებელი იცავს თვის საბრალმდებლო აქტს რომლითაც არკვევს რომ როგორც კობიაშვილი ისე დანარჩენნი ბარბაქაძე სხილაძე და ბერიძე დამნაშავენი არიან რომ ყალბის ასიგნებით გაიტანეს ხაზინიდან სხვა და სხვა დროს 700 ათას მანეთამდე. საქმის მთავარ მომწყობათ კობიაშვილს ასახელებს, მის დამხმარეთ ბარბაქაძეს; სხილაძეს ბრალსა სდებს იმაში რომ სხვის მაგივრად ყალბი ქაღალდით ხაზინიდან ფული გამოიტანა, ხოლო ბერიძეს იბაში რომ მან როგორც ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილების წარმომადგენელმა ყალბ ასიგნობით გამოსტანა ქაღალდს ხელი მოაწერა და ასიგნობის სიყალბე იცოდა რაზიაც მან გასამჯელოთ მიიღო რამდენიმე ათეული ათასი მანეთი. სხვა და სხვა მოწმების ჩვენებიდან მას მოჰყავს დასკვნები რომ მისი ეს ბრალდება სრული სიმართლეა და ესენი უნდა დაისაჯონ როგორც მოღალატენი სახელმწიფოსი. რომელიც აშენების პროცესშია და ყველა ქართველისაგან მის კეთილდღეობის ხელის შეწყობას უნდა მოვითხოვდეთო. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ძარცვა თვით ქართველებისაგანვე ეპიდემიათ გადაიქცა; ბრალიანი და უბრალო სძარცვავს მის ხაზინას რომელიც ისედაც გაღარიბებულია, ეს კი ნიშნავს იმას რომ ახლათ ასაშენებელ სახელმწიფოს თვით თავისი შვილნი საძირკველს ქვას სათითაოთ აცლიანო. ასეთები კი არ არიან ღირსნი შეწყნარებისა და სიბრალულისა და მათი დასჯა აუცილებელიაო.

დამცველნი

ბრალდებულ კობიაშვილის დამცველ ბ. **დოლუხანოვს** თუმცა უხერხულად მიაჩნია დაცვა ისეთ პიროვნებისა რომელიც უკვე გამოტყდა თვის დანაშაულში, მაგრამ იგი ამბობს რომ მე მალაპარაკებს ის სიბრალული რომლის ფირიცაა ეს ადამიანი, გაბნაწამები ცხოვრებიდან სულით ავათმყოფათ ცნობილი ერეკ ჯუფრ[illegible] სულით ავათმყოფთა საავთმყოფოში მოთავსებული რამდენიმე თვის განმავლობაში და ეხლაც აბა (შეხედეთ მის გარეგნულ ავადმყოფ გამომეტყველებას. მით უმეტეს ერთი ავათმყოფი დღევანდელ სამაცდურო პირობებში ჩავარდნილი როცა უმცირესობა ფუფუნებაშია და უმრავლესობა ტანჯვა წამებაში. ამნაირ სულიერ ავადმყოფის აყოლა და ჩათრევა ამ მორევში ადვილი გასაგებია. დამცველი ითხოვს ამის და მიხედვით ხასჯელის შემცირებას. ბრალდებულ ბარბაქაძის დამცველი ბ. ტურკევიჩი მოუთხრობს სასამართლოს რომ ხაზინის ქურდობა ძველ რეჟიმში ნიკოლოზის დროს ეს ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ამ სენმა ღრმათ გაიდგა ფესვები აქაც და ძველ რეჟიმმა თითქო ანდერძა ახალსაო ასე რომ იგი უმდაბლესი მთხოვნელია სასამართლოსი მეტ სიმკაცრით არ მოეპყრას მის დამცველს ცხოვრების პირობების ასეთ გვარ მოწყობის გამო. ბრალდებულ სხილაძის დამცველი პ. ქავთარაძე ამასვე მოითხოვს თავის დამცველის შესახებ ვინაიდან მოწმეთა ჩვენებიდან გამოირკვა რომ სხილაძეს ხელს ადებს კობიაშვილი და ბარბაქაძე კი არსებითად ხელს არ ადებს, რომ სხილაძე მხოლოდ მაშინ დაითანხმეს ფულის მიღებაზე როცა დაარწმუნეს რომ საბუთები ყალბი არაა.

თავმჯდომარე ნაშუადღევის 3 ნახ. ს. სხდომას ხურავს მეორე დღის დილის 9 საათამდე.

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი.

განაჩენი საგანგებო სასამართლისი მოკლეთ გვქონდა უკვე მოყვანილი კვირის ნომერში. მოგვყავს ეხლა უფრო დაწვრილებით: საგანგებო სასამართლომ დაადგინა: 1) კობიაშვილს და ბარბაქაძეს თანახმად საგანგებო სასამართლოს დებულებათა ჩამოერთოთ მათ უფლება და გაიგზავნონ გამასწორებელ რაზმში თითო მათგანი 3 წლით ს. ს. დ. 30 მ. შედეგებით, 2) სხილაძეს კი ჩამოერთვას ყოველივე განსაკუთრებული ღირსება და უფლება და გაიგზავნოს ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში 3 წლის ვადით ს. დ. 58. ს. შედეგებით და 77 მუხ. შეცვლით ყოველივე ხარჯი ამ საქმეში გაწეული დაეკისროს ბრალდებულად აღიარებულ ქონებას თანახმად ერთი მეორის თავდებობით. 3 ბრალდებული მმართველი ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებისა მინა გიორგის ძე ბერიძე ყველა ზემოაღნიშნულ ბოროტმოქმედებაში უდანაშაულოდ იქმნეს ცნობილი და თანახმაო ს. ს. ნ. ნ. 777 მ. 1 პ. სასამართლოს მიერ გამართლებული.

ინგლისელები და საქართველო

„ნაშ კრაი“ ს 203 №-ში დაბეჭდილია შემდეგი:

ბათომში ჩამოვიდა საქართველოს მთავრობის მიერ გამოგზავნილი სამხედრო კომისია, რომელსაც მიზნად აქვს შეისყიდოს ინგლისელებისაგან სამხედრო სამეურნეო საგნები.

ამის გამო ქალაქში უსაფუძვლო ხმები გავრცელდა.

ქრონიკა

კომიტეტის კრება. ხვალ, ოთხშაბათს 24-ს ენკენისთვეს საღამოს 7 საათზე „საქართველოს“ რედაქციის ბინაზე შესდგება მთავარ-კომიტეტის კრება.

გაზ. „გრუზია“ შინ. საქ. მინ. განკარგულებით დაიხურა. რედაქტორი ოპოჩინინი იგზავნება საქართველოდან.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ნ. ჟორდანია ამ ჟამად ლოგინიდან ადგა და ექიმებმა ნება მისცეს შინ სიარული.

მწერალთა კავშირის საბჭოს კრება. დღეს, საღამოს 7 საათზე საადგილ-მამულო ბანკის შენობაში დანიშნულია მწერალთა კავშირის საბჭოს კრება. გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. დასწრება სავალდებულოა.

გენ. ხარბორდი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ რომ კონსტანტინოპოლში მოსულა ამერიკის სამხედრო წარმომადგენელი სომხეთში, გენერალი ხარ-ბორდი, რომელიც ამ დღეებში ერევნისაკენ გამოემგზავრება.

ბ. ნ ა ტუდენტებისთვის. საულიერო სემინარიის ბინა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს განკარგულებაში გადავიდა. ნახევარი ბინისა პროფესორთა საბჭომ [illegible] კავშირ. გამგეობას დაუთმო სტუდენტთა საერთო ბინის მოსაწყობად.

იუსტიციის სამინისტროში

პოლიტიკური დამნაშავეთა შუამდგომლობა. საგუბერნიო 1.—№ ციხეში მყოფი პოლიტიკური დამნაშავენი, რიცხვით 30-კაცამდე, შუამდგომლობენ იუსტიციის მინისტრის წინაშე რათა ისინი ყველანი გადაყვანილ იქმნენ მეტეხის ციხეში.

საქმის საათები იუსტიციის უწყებაში. სექტემბრის 16-დან იუსტიციის უწყების ყველა დაწესებულებებში მუშაობა სწარმოებს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებისათვის. იუსტიციის სამინისტრომ დეპეშით მოახდინა განკარგულება იმის შესახებ, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებისთვის წინასწარი მუშაობა (ნაფიც მსაჯულთა სიების შედგენა) ყველგან დამთავრებულ იქმნას აუცილებლად ოქტომბრის 1-სთვის.

ტუსაღების გაქცევა. როგორც სიღნაღის ციხის უფროსი იუწყება, სექტემბრის 12 ს, საღამოთი ტუსაღების შემოწმების დროს, ტუსაღები თავს დაესხნენ ციხის ყარაულებს აჰყარეს მათ იარაღი და 8 გამოძიების ქვეშ მყოფი ტუსაღი გაიქცა. მიღებულია უსასტიკესი ზომები გაქცეულთა შესაპყრობად. სწარმოებს გამოძიება.

ხახელმწიფო ბეჭდისათვის. რადგან გამოირკვა, რომ სასამართლო უწყების ზოგიერთი დაწესებულება ჯერ კიდევ რუსეთის ძველის სახის სახელმწიფო ბეჭედსა ხმარობს, იუსტიციის სამინისტრომ შესაფერი განკარგულება გაუგზავნა სასამართლო დაწესებულებათა უფროსებს წინადადებით, რათა ყველა დაწესებულებამ უკლებლივ და დაუყოვნებლივ გააკეთებინოს თავისთვის სახელმწიფო ბეჭედი.

საპყრობილეთა გამგეობა. მთავრობის დადგენილებით საპყრობილეთა გამგეობა დროებით შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა.

ბ. გ. ჟორდანიას მიწვევა. იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ბ. გ. ჟორდანია მიიწვიეს კანონმდებლობის მასწავლებლად ქალაქების მე-3 გიმნაზიაში.

სომეხთა ცხოვრება

ფეხსაცმელები სომხის ჯარისათვის. სომხეთის მთავრობამ ამერიკელთაგან ჯარისათვის 18,000 წყვილი ფეხსაცმელი შეისყიდა, რისთვისაც 1,700,000 მან. გადაიდო.

დახურულ ბანკების მოქმედების გასაახლებლად. დღემდე დახურულ ბანკების მოქმედების გასაახლებლად სომხეთის მთავრობამ 1, 900,000 მან. გადასდო.

დაშნაკელთა ყრილობა. ოთხშაბათს 25 ენკენისთვეს ერევანში გაიხსნება დაშნაკელთა მე-9 ყრილობა, რომელიც ერთი თვე გაგრძელდება.

ევანგულოვის თანამდებობიდან გადადგომა. სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს მთავრობასთან ლ. გ. ევანგულოვი თანამდებობიდან გადადგა.

სხვა და სხვა ამბები

თვითმკვლელობა. 20 ენკენისთვეს საღამოს 6 საათზე ანტონოვის ქუჩაზე სახალხო გვარდიელმა აბელაშვილმა თავი მოიკლა. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

ქურდობა 18 ენკენისთვეს ღამით ბელინკის ქუჩაზე 61 № ბინიდან ბოროტ მომქმედებმა 61,000 მანეთის საქონელი მოიპარეს. მილიციამ ეჭვით დაატუსაღა თამარა მალაშვილი და ოლღა რასტეანცი. ორთავენი დანაშაულში გამოტყდენ.

ქურდების აღმოჩენა ამ დღეებში პეტროვის ქუჩაზე მცხოვრებ ალექსიშვილის ბინიდან მოპარულ საქონლის ქურდები აღმოაჩინეს. აღმოჩნდნენ ა. ჩერდეკანი და კ. ზაალაშვილი.

გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ თუ ვინმემ რამე იცის პეტროგრადში რკინის გზაზედ ტეხნიკად მოსამსახურე ვლადიმერ დიმიტრის ძე ალბეგაშვილის შესახებ, რომელიც პეტროგრადში 1916 წ. გაეგზავნა და ჯერაც არ დაბრუნებულა, შეატყობინოს ყაზბეგში მღვდელ ბართლომე ღუდუშაურს.

სამხატვრო ქრონიკა

აზიანმა დასწერა 3 მოქმედებიანი კომედია: „წინანი უკან, უკანანი წინ“ სიუჟეტი თანამედროვე ცხოვრებიდან არის აღებული.

მოგარაგების კომიტეტის დაშლა

ამ ერი თვის წინეთ შემოგარაგების კომიტეტი, რომელსაც უნდა შეესყიდა საქართველოში ყველა უცხოეთში გასაზიდი საქონელი შავი ქვა, თამბაქო, პარკი და სხ. იქ გაეყიდა და სამაგიეროთ სხვა საქონელი ეყიდა, უკვე დაშლილა. საბჭოდან გამოსულან სბჭოს თავმჯდომარე მიწად-მოქმედების მინისტრი ხომერიკი, ფინანსთა მინისტრი კანდელაკი, დამფუძნებელი კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე თოფურიძე და ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ბალიანი. ჯერ-ჯერობით ურყეველად დარჩენილა მხოლოდ ილიკო ქარცივაძე, კომიტეტის დაშლის მიზეზად ასახელებენ საქონლის შეძენაში ჩადენილ ბრა. კანონიერ კომბინაციებს. ხმები დადის, რომ კომიტეტის რევიზიას მოკლე ხანში შეუდგება დამფუძნებელი კრების საფინანსო კომისია.

ურიგო პარტიული ანგარიშები

რამდენად გავრცელებულია მართველ პარტიის ზოგიერთ წარმომადგენლებთა შორის უკეთური და განათლებულ საზოგადოებაში შეუწყნარებელი ხერხი პარტიული ბრძოლის საწარმოებლად, საკმაოდ ხასიათდება შემდეგი მაგალითით: ამ ორი დღის წინ თბილისში ჩამოვიდა ერთი, დაწინაურებული და აფხაზეთში ფრიად გავლენიანი აბხაზი, რომელმაც ინახულა ერთი ამ ჟამად ქალაქ თბილისის ბედის მესვეური და წინეთ დიდი თანამდებობის ამსრულებელი აფხაზეთში. პირველივე სიტყვა ამ ეხლანდელი დროის „დიდი კაცისგან“ აბხაზისადმი იყო შემდეგი: „მაკვირვებს შენ რად ხარ წევრი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის: შეიძლება არ გაგიგია, რომ დამფუძნებელ კრებაში შენ გლანძღეს და გაგინეს ეროვნულ დემოკრატების წარმომადგენლებმა, მხოლოდ მე ვიყავი შენი დამცველი და შენი ღირსების აღმდგენელი“. თუ წარმოვიდგენთ იმას, რომ დამფუძნებელ კრებაში აფხაზეთის საქმეების გამო მხოლოდ ერთხელ იყო თათბირი და ეროვნულ-დემოკრატების ხმრივ მოლაპარაკედ ერთად ერთი წინდახედული, ბუნებიერ ბრძოლაბანი და თავაზიანი კაცი იყო და რა მიზანი უნდა დაესახა მას, იმის ნაცვლად, რომ აფხაზეთის დღევანდელი მეთაურების წინააღმდეგ ელაპარაკა, თავის პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელის სრულიად უსაფუძვლო გინება ეწარმოებინა. აქ რასაკვირველია აშკარაა „დიდი“ კაცის ცილის წამება, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, რა მიზანი აქვს ასეთ უკეთურ საქციელს? ახლო მომავალში აბხაზეთში არჩევნები უნდა მოხდეს, მართველ პარტიას, რომელსაც უკვე ოთხი ხმა დააკლდა ცენტრისგან ახლო მდებარე განაპირა ადგილებში არჩევნების მოხდენის დროს, დიდათ უნდა შელანძღული სახელი, უწესო მოქმედებისაგან გამოწვეული უკმაყოფილება აფხაზეთის უმრავლესობაში ხელოვნური საშუალებით გამოაკეთოს. „პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსიაო.“ ნათქვამია ჩვენი ტანჯული პოეტისაგან, მაგრამ „ნამუსი ხომ კარგი საქონელია“ და პროლეტართა ფიქრების მოქადაგეებს ყოველივე „ქონება“ ეჯავრებათ.

ინგლისის პაგინეთის გარშემო

პეტროგრადი, ეს. 19. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ცნობილ წრეებში მთელი კვირის განმავლობაში არ ყვეგდენ კოალიციონურ მთავრობის შედგენის საკითხს, რომელშიც იმ მუშების წარმომადგენელი ბლომად უნდა შესულიყო რომლებიც ნაციონალიზაციის კითხვაში უფრო დამაბობარიან. ახალ მთავრობის ერთ წევრად რობერტ კლაინს ასახელებენ ფინანსთა მინისტრათ ჩერჩილი, ლონგი და ჩუბერინი უთუოდ გამოვლენ მთავრობიდან. პრემიერ მინისტრათ ლლოიდ ჯორჯის მაგივრათ ასკვიტს ასახელებენ იმ შეშთხვევაში თუ ის ისურვებს და მთავრობის ახალ საფუძველზე შედგენას.

გერმანია

შტირიაში

ქ. რატვერსბურგი შტირიაში ეხლ საბოლოოდ უნდა გადაეცეს ავსტრიას, მაგრამ გრაციდან მიღებული ცნობებ[illegible] ჩეხო-სლავაკები ქალაქს სცლიან [illegible] ამავე დროსვე გერმანელებს ქალაქ[illegible]დან სდევნიან და სურსათს არ უშ[illegible]ბენ შიგ, ეხლა თხოვნა მოვიდა, რ[illegible] ქალაქი რაც შეიძლება მალე დაიკ[illegible]რონ მოკავშირეებმა.

ბერლინის მოვაჭრეთა შორის

ბერლინერმა სურსათით მოვაჭრეებ[illegible] პროტესტი გამოაცხადეს კომუნისტ[illegible] გეგმების გამო, რომელთა ერთი ნაწ[illegible]ლი უკვე მოიყვანეს სისრულეში პრ[illegible]ტესტის ნიშნად სავაჭროები დახურ[illegible] ქალაქის ღლმოსავლეთის ნაწილ[illegible] მცხოვრებლებმა ამის ნება არ მისცეს ეაჭრებს და ბოიკოტით დაემუქრნენ.

პომერანიაში.

პომერანიაში მიწეს ჩუშათა ახალ[illegible] გაფიცვა მოსალოდნელია, რადგ[illegible] ზოგმა არ სცნო მიწად მოქმედებ[illegible] სამინისტროს მონაწილეობით შე[illegible]შავებული ხელფასის ახალი ტარიფ[illegible] პრუსიის მთავრობა იმუქრება, რ[illegible] ადმინისტრაცია ჩაერევა.

მოკავშირეებთან მოლაპარაკება

წინააღმდეგ გავრცელებული ხმ[illegible]სა, გერმანული პრესა აცხადებს, [illegible] ჟამად მოკავშირეებთან გრძელდ[illegible] მოლაპარაკება იმის შესახებ, რ[illegible] გაიგზავნოს გერმანული კრეის რ[illegible] (გამოტოვებულია) ნავთსადგურებ[illegible] გერმანიის იმ გემების მოსაკრებ[illegible] რომელიც მოკავშირეებს უნდა [illegible] დაეცეს, მაგრამ შეკეთებულ უნდა [illegible]ნეს მხოლოდ ბერლინში.

ჰუნგრეთის ბრინეგის გაუქმება

(მოკ. ძის. ცნ.)

ჰუნგრეთის მთავრობის დეკრეტ[illegible] ბელაკუნის მიერ გამოშვებული 200 [illegible]—25 კრონამდე ბონები გააუქმეს. მ[illegible]ერობას აზრად აქვს ბონები 20 პრ[illegible]ცენტად გამოისყიდოს.

უკრაინის საბჭოთა ჯარების გედან

უკრაინის საბჭოთა ჯარები 45, 47 [illegible] 58 დივიზიები და მახნოს რაზმი გ[illegible]შემორტყმულია მოხალისეთა მიერ.

ეერთიანებულმა შტატ.მეა[illegible]სიის საზღვარი გადა[illegible]ვლა

(მოკ. ძისიის ცნობა)

შეერთებულ შტატის სამხედრო მინისტრის ბრძანებით ამერიკის საზღვარი გადაჭლახა და მექსიკელ ყაჩაღთა ბრბომ დაეღვენა.

ბამონტოვის ჯარი

მოხალისეთა სარდლობა იუწყება, რომ გენერალ ბამონტოვმა წაართვა ტროცკის ჯავშოსანი მატარებელი, რომელშიც მოთავსებული იყო შტაბი კასაში 64 მილიონი მანეთი ნაღდი ფული.

გოლშევიკების ახალი შეტევა

ბათომში მოხალისეთა წყაროებიდან იტყობინებიან: წითელ არმიელებმა შეუტიეს ალგოვის მიმართულებით, გაცხარებული ბრძოლაა გოჩინოს ხელ ში ჩასაგდებად. ბოლშევიკების შეტევას ორი მიზანი აქვს: კიევის ჯავშუს ზურგიდან ჩასცეს ლახვარი, და ამავე დროს წაართვას მოხალისეებს კურსკი საკენ შეტევის საშვალება.

ბრძოლა - დონისათვის

ნოვი ოსკოლის სამხრეთით სასტიკი ბრძოლაა. მოხალისეთა ცნობებით, საბჭოთა მე-12-ე დივიზია სასტიკად დამარცხდა.

შეერთებული შტატები და საფრანგეთი

(მოკ. ცნობა)

ამერიკის სენატის იურიდიულმა კომისიამ განაცხადა, რომ საფრანგეთთან ხელშეკრულება, რომლის ძალითაც შეერთებული შტატები უნდა დაეხმარონ საფრანგეთს თუ მას გერმანია უმიზეზოდ თავს დაესხმის, შეერთებულ შტატების კონსტიტუციის სრულიად არ ეწინააღმდეგება.

პომერანიაში

(საბჭოთა ცნობა)

ნაუენი, ენკ. 18. პომერანიაში მოსალოდნელია საბერძნეთ გაფიცვები, ვინაიდან მემამულეთა უმეტესობას არ სურს მიიღოს ახალი სატარიფო ხელშეკრულება, პრუსიის მთავრობამ განაცხადა, რომ თუ საჭიროება მოითხოვს იმ მამულებს გამგეობას, რომელთა პატრონებსაც არ სურთ სატარიფო ხელშეკრულების მიღება თითონ იკისრონ.

სერბეთი და რუმინეთი

(მოკ. მის. ცნობა)

სერბეთსა და რუმინეთსა შორის ურთიერთობა მეტად გამწვავებულია, რუმინელებმა საზღვარზე ბანატომთან დააგროვეს 15 დივიზიონი. ბელგრადის მთავრობამ დეპეშით აცნობა რუმინეთის რომ ის თანახმაა სენატში მოხდეს საერთო დაკითხვა და იმედი გამოსთქვა, რომ მეზობლური განწყობილება მათ შორის არ დაირღვევა, თუ რუმინეთი ასეთ ზომაზე დაათანხმება.

გოლშევიკების ოპერატიული ცნობები

მოსკოვი. სექ. 20. **თეთრანის ფრონტი.** ცარიცინის რაიონში მტრის ცხენოსანმა ნაწილმა შეიცადა სოფ. კოდს დასცემოდა, ცარიცინის 105 ვერსის აღმოსავლეთით. მაგრამ ჩვენ კონტრშეტევით უკუ ვაგდეთ და ერთი ტყვიის მფრქვეველი წავართვით ყიზლიარის მიმართულებით მტერი შეეცადა ასტრახანის სამხრეთ დასავლეთით შემოეტარა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია.

ენკენ. 20. ჩრდილო დონის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა სოფელი პრანკი დაიპყრო.. (დამახინჯებულია) ტბაზე მტერმა კუნძულ კლემეცკის ჩრდილო ნაწილზე დესანტი გადმოსხა. ლუგის რაიონში ჩვენმა ჯარმა მთელი რიგი სოფლებისა დაიპყრო. პოლოცკის დასავლეთით ჩვენი ნაწილები სასტიკი ბრძოლის შემდეგ იძულებული შეიქნა ახალი პოზიციებისაკენ დაეხია. ვიტებსკის მიმართულებით ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ: ბობრუისკის მიმართულებით მტერი მდ ბერეზინაზე გადვიდა. სარნენის მიმართულებით ჩვენ ოლევსკი დავტოვეთ. ჩვენი ნაწილები ჟიტომირის ჩრდილოდ ავლეთით უტევენ. მტრის შემოტევის გამო კონოტოპი დავსტოვეთ. მტერს, რომელიც ოსტროგოჟს აწვება, ჩვენი ჯარი გამაგრებული ებრძვის.

№-ის არმიის შტაბი. ენკ. 18. კოლჩაკის სამხრეთის ლაშქრის შემდეგი ნაწილები სრულიად დაგვმორჩილდნენ: 7 და 8 ყაზახთა პოლკები, სატინინსკის 38, ბელორეცკის 33, და აშნაზარის 34 მსროლელთა პოლკები, 22 და 29 ორენბურგის კავკასიის დივიზიის პოლკები, ტატიშჩევის პლასტუნის დივიზიონი, მე-11-ტე ორენბურგის მსროლელთა პოლკი და სხვა. წამოყვანილ ტყვეების თვლა გრძელდება. დენიკინის ნაწილებმა ცარიცინის რაიონი დასტოვეს. ასტრახანის მდგომარეობა მტკიცეა. ცარიცინის აღებით, რასაც ახლო მომავალში უნდა მოველოდეთ, ვოლგა სრულიათ განწმენდილი იქნება.

ჩრდილოეთის ფრონტი. ჩრდილოეთის დვინისკენ ჩვენი შეტევა გრძელდება წითელმა ჯარმა მორეე-გორსკიდან 15 ვერსის მანძილზე რამდენიმე სოფელი აიღო. პინეგისკენ ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა.

დასავლეთის ფრონტი. ჩვენი ჯარი ბრძოლით გავიდა მდ. საბას ხაზზე ტყვეები წამოიყვანა და ტყვის მფრვველები ჩაიგდო ხელში.

ჩვენი ჯარი ბობრუისკის ხელში ჩასაგდებათ ქალაქიდან 6 ვერსზე იბრძვის, კიევის დასავლეთით 45 ვერსზე ჩვენი ჯარი იბრძვის. ჩვენ სად. ტეტერევი და ტრუბეიკაია დაეჭირეთ წამოვიყვანეთ ტყვეები. ხელში ჩავაგდეთ 30 ეაგონზე მეტი ჯავშნიანი მატარებელი.

სამხრეთის ფრონტი. ბახმაჩის ჩრდილოეთით ბრძოლაა. მდ. სეიმზე გადასავალთან სუჯის და სუმის მიმართულებით ბრძოლაა. ჩვენი ნაწილები იძულებული შეიქნენ ქალაქთან და ქალაქის ქუჩებზე ბრძოლის შემდეგ კურსკი დაეტოვებიათ. პავლოვსკთან ჩვენ მტრის ძლიერი იერიშებ მოვიგერიეთ და ქალაქიდან 25 ვერსზე გავდევნეთ. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით კოლჩაკიდან 20 ვერსით წინ წაიწია ბოპერთან ჩვენი შეტევა გრძელდება. მტერი წინააღმდეგობას გვიწევს. მარჯვენა ნაპირ ას ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და ცარიცინის ჩრდილოეთით 25 ვერსზე რამდენიმე სოფელი დაიჭირა.

აღმოსავლეთის ფრონტი. ყურგანის მიმართ: პეტრეპავლოვსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და ბრძოლით 10-15 ვერსით წინ წაიწია. სად. ლებიაჟიას ხელში ჩასაგდებათ ბრძოლაა. მოსკოვი 21. ციმბირი, დაწყებული ირკუტსკიდან ბლაგოვეშჩენსკამდე წითელ პარტიზანების ხელშია. იაპონელები შეეცადენ მათთან გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებას. წითელებმა, ისარგებლეს ადგილების ცოდნით და იაპონელთა რაზმი სრულიად განადგურეს ბლაგოვეშჩენსკთან იაპონელთა სამი ეშელონი დავამარცხეთ. კოლჩაკმა მოკავშირეთა წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის ხელს იღებს უმაღლესი მმართველის წოდებაზე, დენიკინის სასარგებლოდ მოკავშირეებმა მას ჯერ უფლება დაუტოვეს. უკანასკნელ დროს კოლჩაკზე თავდასხმა მოახდინეს. 40.000 ჩეხო-სლოვაკმა დასტოვა ციმბირი, დანარჩენმა 30.000 გადასწყვიტა წასულების მაგალითს წაბაძოს.

დეპეშები

(ხაქ. დეპეშ. სააგენტო)

მოსკოვი. ენკენისთვის 20. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

პოლონელები და მოკავშირენი.

ლიონი, ენკ. 19. მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს შეეშინდა პოლონელების მიერ რუსეთის დიდ ტერიტორიის დაპყრობის გამო, როგორც ჰფიქრობენ, პოლონელებს ებრძანა შეეჩერონ ბოლშევიკებზე შეტევა. რა საკვირველია, მათ ეს ბოლშევიკების სიყვარულით არ მოსდით, მათ ეშინიათ, როდესაც პოლონელები შიდა რუსეთში შეიკრებიან, მათი იქიდან გამოყვანა ძნელი იქნება

მწვანეები ტუაპსეს დაეცენ

ორიოლი, ენკენისთვის 18. „პრიაზოვის კრაიში„ ტუაპსეს ოლქის უფროსის ბრძანებაა დასტამბული, ის რკინის გზის ლიანდაგის ტელეგრაფის ბოძების და მავთულების გაფუჭებისთვის პასუხისმგებლობას მცხოვრებლებს აკისრებს. თუ ლიანდაგი ას მავთულები სადმე დაზიანდა, მძევლებს წაიყვანენ და დაზიანებულის ფასს მცხოვრებლებს აანაზღაურებიებენ, თუ ვინიცობაა სამხედრო მოხელეს ვინმე თავს დაესხა, მცხოვრებლებს კონტრიბუციას დაადებენ. თუ მწვანეები ქალაქ ტუაპსეს დაეცა, ქალაქის იმ. ნაწილს, სადაც მწვანეების თანამგრძნობნი სცხოვრებენ, ზარბაზნებს დაუშენენ. ჩრდილო კავკასიის მთავარ სარდალმა მიწერილობა დაუგზავნა, რომ მწვანეთა ოჯახობა კასპის გალმა მხარეებში გადაასახლონ.

დონის მობილიზაცია

ორიოლი. ენკ. 17. ჩვენ მიერ შეტევის დაწყების გამო თეთრების სულიერი განწყობილება დაცემულია. სულიერი დაცემა ემჩნევა აგრეთვე ჯარსაც განსაკუთრებით დონის არმიას. ხშირად ჯარის კაცი არ ემორჩილება და არ ასრულებს ომის შესახებ გაცემულ ბრძანებას. დეზერტირობა ძლიერდება. დონის ატამანის ბაგაევსკის ბრძანებაში ყაზახების 48 წლამდის საყოველთაო მობილიზაციაა გამოცხადებული.

ბაშკირები ბოლშევიკთა ჯარში.

მოსკოვი. სექ. 20. პეტროგრადის ფრონტზე გასამგზავრებელმა ბაშკირთა მხ დრობამ მიტინგი გამართა. წაკითხულ იქნა ლენინისა და ტროცკისაგან მიღებული დეპეშა. რის შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია; „ჩვენ მზათ ვართ ლენინისა და ტროცკის მოწოდების გამო საომრად წავსდგეთ და დავიცვათ ჩრდილოეთის ფრონტი. ფიცსა ვსდებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ წითელ ჩრდილოეთ ფრონტის დასაცავათ“.

ურალის ყაზახები.

სარატოვი. სექ. 19. ურალის რაიონში ყაზახების ნაწილები რღვევის პროცესს განიცდის, რაც გამოწვეულია საბჭოთა ჯარის გამარჯვების გამო. წინამძღოლთა შემადგენლობამ შეიგნო, რომ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა უსარგებლოა. ნაწილი ამათგან სახლში წავიდა, ნაწილი კი წითელ არმიას შეუერთდა. დეზერტირობამ ლოთობამ და ცარცვამ მცხოვრებთა შორის მოქალაქეობრივი უფლება მიიღო. სამღვდელოება ბურჟუაზიასთან ერთად განუწყვეტლივ პარაკლისებს იხდის, რომ, კოლჩაკს და დენიკინს ძლევა მიენიჭოს.

აჯანყება დაიწყო.

ორიოლი, სექ. 18. „პრიაზოვის კრაიში“ იუწყება, რომ ბესარაბიაში „გლეხთა აჯანყება დაიწყო რუმინელების წინააღმდეგ. გლეხები კარგად შეიარაღებული არიან, მათ რამდენჯერმე სძლიეს. რუმინიის ჟანდარმებს. ბევრ ადგილას რკინის გზა გაფუჭებულია.

აღმოსავლეთის ფრონტი. იშიმის რაიონში რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა 50 ვერსით დაიხია. ტობოლის რაიონში ჩვენი შეტევა ვითარდება.

ფრანგული პრესა

სირიის საკითხი.

სირიის საკითხის შესახებ შესდგა დროებითი მორიგება. რომელსაც კლემანსხმ და ლოიდ-ჯორჯმა მხარი დაუჭირეს. ეს შეთანხმება ძალაში დარჩება სანამ შეერთებული შტატები მზათ არ იქნებიან ოსმალეთის საკითხში მიიღონ მონაწილეობა. კლემანსოს აღლენბისთან ჰქონდა თათბირი სირიის ოკუპაციის შესახებ. შემდეგ საბჭომ ბალტიის პროვინციების მდგომარეობის შესახებ დაიწყო თათბირი. განიხილეს ფოშის მოხსენება და ფონ-დერ-გოლცის ჯარის უკან დახევის საკითხი. ბულგარეთის ხელშეკრულებაზე სიტყვაც არ ყოფილა, რადგან ბულგარელებს ხელშეკრულების მხოლოთ რამდენიმე დღის შემდეგ ჩააბარებენ.

„ტან“-ის აზრით მას შემდეგ რაც კლემანსოსა და ლორდ ჯორჯის შორის სირიის შესახებ შეთანხმება მოხდა ბრიტანეთის ჯარმა პირველი ნოემბრიდან სირიას და პალესტინას შორის ადებარე მთელი ტერიტორიის ევაკუაცია უნდა მოახდინოს. გადაწყდა, რომ დამასკში და ალეპოში ბრიტანეთის ჯარი დარჩება. არაბეთის ქალაქებათ დარჩებიან, ისინი რომლებიც საფრანგეთის გავლენის სფეროში იმყოფებიან.

რუსეთის დამპყრობლობა საქართველოში და გმირი ლევან გატლონიშვილი

(1786—1811)

ალექსანდრე ბატონიშვილს, ყაენს, ხანებს დაღისტნის მპყრობელებთან შეთანხმებით სურთ მიიტყუონ რუსის ლაშქარი კახეთს და იქ ამოჟლიტონ. მაგრამ ჯერ ამის წინად იგინი ბაქოსთან ბოლოს უღებენ პ. ციციანოვს (8 თებ. 1805 წ.). მაგრამ იმედები უცრუვდებათ და მალე რუსეთ მპყრობელობა საქართველოსა და მის გარშემო უფრო ფართოვდება და უფრო მტკიცდებოდა.

არა გამოდის-რა 1810 წლის გეგმიდამაც, რომლის თანახმად თბილისზე იერიში უნდა მოეტანათ იმერეთიდამ სოლომონს, ახალციხიდამ ჰუსეინ-ყულიხანს, ნახიჩევან-ყარაბაღიდამ ყაენის ძეს აბაზ-მირზას, ერევან-ბამბაკ-შურაგელიდამ ალი-შაჰ-ზადეს და ოსეთიდამ 24 წლის ჭაბუკს ლევან ბატონიშვილს.

26 ივლ. 1810 წ. ლევანი ჩამოდგა სოფელ კეხვს და იქიდგან მიჰმართა თავადებს წერილით:

„თუ თქვენ არ დაგივიწყნიათ მოწყალებანი და მსახურებანი თქვენის ბუნებრივ ბატონისა, წამსვე გამოცხადდით აქ. ამისთანა შემთხვევას და დროს ვეღარ ჰპოებთ: ქვემო მხრიდან მოვიდა ყაენი დიდის ლაშქრით, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი დღეს თუ ხვალ მოვა 12.000 მეომრით. აღდგა იმერეთიც ისე, რომ საცა იპოებოდა რუსი, ყველა გაქლიტეს და მოსპეს. თქვენც დაუყონებლივ მოდით“.

ეს დაწყობილებაც ჩაიშალა. რუსის ძლიერებამ უკუაბრუნა მტრები და ლევანის შესაპყრობადაც ზომები მიიღო.

გაიგო თუ არა რუსის მთავრობამ ლევანის ოსებში ყოფნის ამბავი, გაგზავნა გენ. ახვერდოვი ცხინვალს იქაურ დაშინებულ ხალხის დასამშვიდებლად და ლევანის მიერ ოსეთში აღძრულ ამბოხის მოსასპობად. მან გასცა ბრძანება: „შეიპყარით ყველგან ლევანის შიკრიკებიო“.

ერთ შემთხვევას აღნიშნავს დავით ბატონიშვილი („მასალები“ 93):

„წელსა 1810 წარუვლინა მეფის ძე ალექსანდრემ ერევნით ლეონს დოღაძე იესე, კაცი მართალი და წმინდა. მისი გაზდილი იყო ლეონი და თანა წარატანა ტანისამოსი და რაოდენიმე თეთრი. მოსრული დოღაძე სასირეთს ისტუმრა ტარიელ გლურჯიძემ, ტ განუსვენა ღამესა მას, ხოლო დღესა მეორესა, წარავიდა—რა დოღაძე, ამცნო ესე გორს ციციშვილს დავითს, რამეთუ ესე დავით იყო მას ქამსა მარშალი ამან შეუკრა გზანი დოღაძეს, შეიპყრა და მოჰგვარა რუსთა და მიუღო მინაქვანიცა იგი. ესე აცნობეს რუსთა ტორმასოვს გორით, და მიუწერა კამენდატსა გორისა, რათა მოაშთოს იგი მუნ... დამოჰკიდეს ძელსა და მოაშთვეს.“

მაგრამ მარტო შიკრიკებისა და ბატონიშვილის დამხმარეთა დევნით არ დაკმაყოფილდა გენ. ახვერდოვი; მან ამასთანავე მოუწოდა 200 შეიარაღებულ მთიულს და გუდამაყრელს დასხმრბევად ოსების იმ სოფლებისა, რო-

წინათ დევნილნი, დღეს კი მივიწყებულნი მწერალნი

3

რომ ქართველი მწერლები წინეთ, რუსეთის თვითმპყრობელობის დროს იდევნებოდნენ,—ეს არც გასაკვირველი და არც პოულოდნელია. მტრებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ისინი იყვნენ სულიერნი დარაჯნი მშობელ ერისა, მისი სინდისი, მისი ჩუმი და იდუმალი ნატვრის მატარებელნი, უიარაღო, მაგრამ ძლიერი, მებრძოლნი საუკეთესო მომავლისთვის. ამისათვის ქართველ მწერლებს, როგორც გგბატონებულ, პოლიტიკის იდეიურ მოწინააღმდეგეებს, რუსის მოხელეები ყოველივე საშუალებას უსპობდნენ მიელოთ ეროვნულ ცხოვრებაში აკტიური და ფარული მონაწილეობა: წინასწარ განზრახვით ისეთი ცხოვრების პირობებში აყენებდნენ მათ, რომ სრულიად ესპობოდათ შნო და უნარი ეროვნულ შემოქმედებისა და პრაკტიკულ მოღვაწეობისა. დიახ მწარე იყო ჩვენი მწერლების მდგომარეობა, ოაგრამ მათ მაინც ის შეგნება ამხნევებდა, ამა აგრებდა და ჭმსუბუქებდა გაჭირვების სიმძიმეს, რომ ტანჯვა-წვალებას მათ აყენებდა ერის მტერი, რომ ისინი მსხვერპლნი იყვნენ უცხოელთა მზაკრულ პოლიტიკასა, რომ მათ, დევნილთ და ტანჯულთ, ჩუმად, გულის სიღრმეში თანაუგრძნობდა და აფასებდა მშობელი ერი და რომ, თუ განგებამ სამშობლოს განახლება-განთავისუფლება, წაკუთარი, დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება არგუნა, მათ მიაგებენ ღვაწლისამებრ მათისა: ფართედ გადაშლიან სამოქმედო ასპარეზს, შეუქმნიან საუკეთესო ცხოვრების პირობებს და ჩაბარებენ და მიანდობენ იდეიურ აღმაშენებლობის. მართლაც, ვინ უნდა გამხდარიყო იდეიური აღმშენებელი საქართველოს მთლიან სახელმწიფოებრივ შენობისა, თუ არა გონებრივი თავადნი, ერის ტვინი, ე. ი. თუ არა ქართველნი მწერალ მეცნიერნი და მოწინავე ფართედ განათლებული ინტელიგენცია? როგორც ნამდვილ სახელმწიფოებრივ იდეის მატარებელთ, მიუდგომელ მიუკერძოებელ მოაზროვნეთ, რომლებთათვის უმთავრესად და პირველ რიგში არსებობს მხოლოდ საქართველო და მისი ძირითადი იტერესები და არა პარტიულ-სექტანტური და ვიწრო კლასიური განყენებული დოგმები და დ ბულებები, მათ სწორედ შეჰფეროდათ ასეთი როლი. დიახ, მხოლოდ მათ როგორც ერის ტვინს და სინდისს, შეეძლოთ დაქსასულ ქართულ საზოგადოების შეერთება-შეკავშირება, მათი ინტერესების შეთანხმება, ერთი ენის ერთის ეროვნული სულ ის და გულის გამონახვა. უეჭველია, ძველ-წესწყობილების, ძველი-პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ ვითარების შერყევა დანგრევისათვის, ე. ი. რევოლიუციონურ მოქმედებისათვის თავისებური ფიზიონომიის, რწმენის, შეგნება განვითარების და პრაკტიკის ადამიანები ყოფილან, არიან და იქნებიან საჭირო, ვინ არ იცის, რომ რევოლიუციის მოსახდენათ და შემდეგ მისი გასაღრმავებელად უმთავრესად საჭიროა უშვამავლო ნებისყოფა, ენერგია, ბრძოლის ენინ. მაგრამ როდესაც ნგრევის ზონა გაიელის ხოლმე და დგება ხანა აღმშენებლობისა, ცხოვრების ახალ პრინციპების მიხედვით მოწესრიგებისა, ზონა ფართე სახელმწიფოებრივი მუშაობისა, მაშინ სცენაზე უნდა გამოვიდნენ სხვა შეგნება-შემეცნების, რწმენის და შეხედულების პირნი; მაშინ საკმარისი როდია მხოლოდ ბრძოლის ენინ, ენერგია,—ახლა საჭიროა დამჯდარი გონება, აუდელვებელი ხასიათი, ღრმა და ჭუმანიური აზროვნება, თანამედროვე ცხოვრების ვითარებათა ობიექტური, მიუდგომელ- მიუკერძოებელი შეგნება, წარსული ცხოვრების ნათელი წარმოდგენა, ხალხის, ერის სულის და გულის, მისი ძირითადი სულიერი თვისებების გაგება—შეთვისება. ამისთანა როლისთვის ეჭვს გარეშეა საჭირო და გამოსადეგი არის მხოლოდ განვითარებული, მცოდნე და დარბაისელი ინტელიგენტი, განათლებული ადამიანი, ამ უკანასკნელმა ყველაზე უკეთ იცის, თუ რა შეადგენს სახელმწიფოს ძირითად საკითხს, რა შეუწყობს ხელს ერის გათვითცნობიერებას, მის გონებრივ, ზნეობრივს და ეკონომიურს ზრდას; რა აღამაღლებს მას ერთა შორის და რითი დაიმსახურებს სახელს, გავლენას, დიდებას. ნამდვილი და ჭეშმარიტი ინტელიგენტისათვის ყველა წოდება, თითეული პიროვნება ძვირფასი და საყურადღებოა.

ითვალისწინებს - რა სახელმწიფოს საბოლოო მიზნებს, ერის ძირითადს ინტერესებს, განათლებული ინტელიგენტი ემსახურება მთელიან ერს, სახელმწიფოს და არა რომელიმე წოდებას, რომელიმე კლასს. სეკტანტი, პარტიულის ენიანობით გაჟღენთილი ინტელიგენტი კი, რაც გინდ ნიჭიერი და გამოცდილი იყოს იგი, ვერ გახდება მთელი ერის გულს მესაიდუმლე, მისი ნების ყოფის და მისწრაფების გამომსახველი.

დოგმებით დამძიმებულ და ცალმხრივობაში მომწყვდეული პოლიტიკური მოღვაწე, თუ კი მას ბედმა დაიკისრა აკტიური როლი ცხოვრების მოწესრიგებაში, ვერ შესძლებს მიუდგომელ, ყველასათვის სასარგებლო და ნაყოფიერ მუშაობას. იგი უსათუოდ მიზნად დაისახავს რომელიმე ერთ განსაზღვრულ იდეას ემსახურის, ერთი რომელიმე კლასის, წოდების ინტერესები დაიცვას, სხვა კი, უკეთეს შემთხვევაში, უყურადღებოდ დასტოვოს.

ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი ხასიათის მოღვაწეობა, ასეთი ერის სხვა და სხვა ნაწილების დაპირისპირება და შეჯიბრება აუცილებელი და საჭიროცაა პოლიტიკურად მოწყობილი, განვითარებულ და ძლიერს სახელმწიფოებში, მაგრამ იგივე დამღუპველია ისეთს ხანაში, როდესაც ეს ეს არის საძირკველი ეყრება თავისუფალ სახელმწიფოს არსებობას, როდესაც ერმა უნდა შემოკრიბოს გარშემო ყველა ცოცხალი ძალები მტერთა დასაძლევად. ამ დროს მომქმედ ძალთა დაქსაქსვა, სხვა და სხვა წოდებათა გათიშვა მათის ინტერესების დაპირისპირებით და შინაური ბრძოლის გაჩაღება მომაკვდინებელი დანაშაულია. ვიმეორებთ, ნამდვილი ინტელიგენტი, ფართედ განათლებულ და განვითარებულ, როგორის ტემპერამენტისაც არ იყოს იგი, რა პოლიტიკურს რწმენასაც არ ემსახურებოდეს, როგორადაც არ გაუჭირდეს ცხოვრება, თავის დღეში არ კისრებს ასეთს მავნე და ცუდ შედეგიანს როლს. პირიქით, იგი შეგნებულად ჩამოშორდება უკეთესმართად მოწყობილ ცხოვრებას, დროებით მიჩუმდება, ბრძოლასაც მოერიდება, ვინაიდგან კარგად ესმის, რომ ყოველივე უმიზნო და უაზრო შინაური ბრძოლა—ქიშპობა ხამშობლოს ჰღუპავს, ანგრევს...

ზემორე ზოგადად გამოთქმულ აზრების ცოცხალ ილუსტრაციას ჩვენ გვაძლევს რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობა ამ უკანასკნელ წლებში. როგორც ვიცით, რუსეთში ამ უკანასკნელ წლებში პოლიტიკურ ცხოვრების სადავე ხელში ჩაიგდეს უკიდურეს პოლიტიკურ სექტანტებმა—ბოლშევიკებმა, რომლებმა, სხვა ბევრი „საგმირო“ საქმეებთან ერთად, საშინელი ექსპერიმენტი მოახდინეს მთელს მოწინავე და მოაზროვნე რუსის ინტელიგენციაზე. ბოლშევიკებმა არამც თუ უდიერად, ხეპრულად ჩამოაშორეს და მოსწყვიტეს პრაქტიკულ საქმიანობას და მეცნიერულ მუშაობას საუკეთესო ნაწილი რუსეთის ინტელიგენციისა, არამედ იგი გაამასხარავეს კიდეც (ქუჩებს აგვეევინებდნენ, ტვირთს აზიდვინებდნენ და სხვ.) განათლების და განათლებულების გამასხარავება და აბუჩად აგდება მათ იქამდის მიიყვანეს, რომ, როგორც სწერდნენ გაზეთები, ქალების გიმნაზიებში და ინსტიტუტებში შვეიცარების ცოლებს ნიშნავდნენ უფროს ქალებად, ვაჟთა გიმნაზიებში კი — სოციალისტ კაპელდინერებს. ვსთქვათ, რომ ეს ცნობები ანეგდოტიურის ხასიათისაა, გაზვიადებული; მნგრამ რომ ბოლშევიკები არც განათლებას, არც ცოდნას, არც პრაკტიკულ გამოცდილებას, რაც არავითარ სტაჟს არ აფასებდნენ და არ აქცევდნენ ყურადღებას, ეს იქიდგან მტკიცდება, რომ ყველა დიდად პასუხსაგები ადგილები და თანამდებობა პირდაპირ უვიცთ, უცოდინართ, გამოუცდელთ და ზნეობრივად საეჭვო პირთ ჩაუგდეს ხელში. მათ ჩაბარეს უკანტროლოდ სახელმწიფოს ბედის ჩარხი, მთელი მრავალ მილიონიანი ხალხის სიკვდილ-სიცოცხლე. განათლება, განვითარება, ცოდნა-გამოცდილება, პატიოსნება, სინდისი, ზნეობა,—ერთის სიტყვით, ნამდვილი ინტელიგენტობა მათ მეტ ბარგად გამოაცხადეს, ფაქტია, რომ ჩამოთვლილ თვისებათა მეტმქონი ინტელიგენტები ერთ დროს შიმშილით იხოცებოდნენ პეტროგრადში და მოსკოვში! ამ დროს კი სხვა და სხვა სასახლეებში და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვითომც მოწინავე სოციალისტები, კომუნისტ-ანარხისტები, ნამდვილად კი პირწავარდნილი „ქამები“, „შარამიჟნიკები“, „საკალდირნიკები“ და „ობორვანცები“ ზეიმობდნენ.

მოყაზაღე „ქამების“ ბატონობის დროს მთელს რუსეთში დაიკეტა უნივერსიტეტი, აკადემიები, ინსტიტუტები, კადეტთა კორპუსები, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები და მრავალი კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოებები ტ დაწესებულებები; მიიფანტ-მოიფანტნენ მათში მომუშავე სწავლულ მეცნიერნი. ზოგი მათგანი საზღვარ-გარედ გაიქცა; ზოგმა პროვინციას, სოფელს შეაფარა თავი; ზოგი კი ცენტრში დარჩა და იქ განიცადა მთელი სიმწვავე „ქამის“ ბატონობისა. ამ უკანასკნელებთაგანმა ბევრმა გაყიდა სუფველაფერი, რაც ებადა, და ბოლოს შიმშილითაც მოჰკვდა. მხოლოდ სინიდისით ელასტიური, რწმენით მერყევი და უპრინციპო ინტელიგენტები შეეწყვნენ და შეეთვისნენ „ახალს“ ცხოვრებას, ე. ი. პირველ ყოფილ მდგომარეობაში დაბრუნებას, ისეთს ყოფას, როდესაც „ადამიანი ადამიანისთვის მგელი გამხდარა“. ამ დროს უმთავრეს ცენტრებში შეწყდა ყოველივე წყნარი, ნაყოფიერი და სასარგებლო კულტურული მუშაობა: საუკეთესო ჟურნალ-გაზეთები დაიხურა, წიგნთ-საცავ მუზეუმები დაიკეტა. რამოდენიმე ხამდვილი ინტელიგენტი: ტეხნიკოსი, ქიმიკოსი, ექიმი, ინჟენერი—შერჩა ძალაუნებურად სამსახურს, რადგანაც მათი ცოდნა და საქმიანობა აუცილებლად საჭირო იყო ბოლშევიკებისათვის, მაგრამ ამათაც მოდღესასწაულე „დემოსმა“ ნახევრად შიმშილ-წყურვილი არგუნა იმ დროს, როდესაც მეეზოვეებს, მრეცხავებს, დარაჯებს ჯამაგირებს ათას და ორიათას პროცენტებს უმატებდნენ და მით უადგილებდნენ არსებობას,—ამ დროის ნიჭიერი და მომუშავე ინტელიგენტებს ისე ძუნწად უმატებდნენ შრომის ფასს, რომ ისინი და მათი ცოლშვილი ნამდვილ შიმშილს განიცდიდენ: მეეზოვეების ყოფა-ცხოვრება და მდგომარეობა მათ მოუწდომელ იდეალად ეჩვენებოდათ. ჩვენ ჯერ კიდევ დაწვრილებით არ ვიცით, თუ რა სახეს და ფორმებს ღებულობდა ბოლშევიკურ რუსეთში მოწინავე ინტელიგენტების დევნა—გამასხარავება, მაგრამ როდესაც სუფველაფერი გამოქვეყნდება, მაშინ დამშვიდებულ-დაწყნარებულს, გონს მოსულს რუსეთს და კაცობრიობას შეაძრწუნებს შეუწყვეტელი ტანჯვა—წვალება რუსეთის იმ ინტელიგენტებისა, რომლებმაც თითონ მოუმზადეს ნიადაგი ხალხის განთავისუფლებას და დესპოტიზმის დამხობას.

იპ. ვართაგავა.

მელნიც მიემხრნენ ლევანს, და ამავე აზრით სურდა ოსეთში შეეგზავნა ქართველი ქვითა ჯარის რაზმი ზარბაზნებით. მთავარმართველი ტორმასოვი უშნებდა გეგმას და ურჩევდა არ შეეწყალა ამბოხებულნი, მაგრამ იმავე დროს იმედოვნებდა მშვიდობიანის გზით მიებრუნა ლევანი ამიტომ უბრძანა ახვირდოვს, ლევანის შოსაქცევად გაეგზავნა მისი აღმზრდელი დიკან. ქართველიშვილი.

მიზეზად ამგვარ მოქცევლობის დაიდო თხოვნა თვით ლევანის მამის იულონისა, რომელსაც იმპერატორის წინაშე ეშუამდგომლნა, წარეგზავნათ მის შვილის ლევანისთვის უმაღლესი რესკრიპტი დაპირებით, რომ იგი რუსეთში მოსვლის შემდეგ მიღებულ იქმნება მთავრობის მფარველობის ქვეშე, და ამასთანავე უმ ღლესი რესკრიპტი და შინ (იულონის) საკუთარი წერილი ერთად სანდო კაცის ხელით ჩაებარებინათ ლევანისთვის.

მაშინ ლევანი იულონს ეგულებოდა საათაბაგოში მომქმედათ ერთად ბატონიშვილებთან, რომელთა „ძიებანი“ მას უკვე მიაჩნდა „ინტრიგად და უგუნურებად“.

ტორმასოვმა დაიჯერა ქართველიშვილს დაერწმუნებინა ლევანი, რომ თუ იგი თავის ნებით მოვა შინანებული, უხვად დასაჩუქრებული იქმნება და ხელმწიფის წინაშე გულმოდგინე შემწეობა აღმოეჩინება.

დეკ. ქართველიშვილის შუაკაცობამ სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. „ლევანის დასუსტებულ თავში“, სწერს რუსი მემატიანე (განმტკიცება რუს. უფლ. კავკასიაში, ტ. 1—229), „სიმხურვალე ისეთი დიდი აღმოჩნდა, რომ შან არაფრად ჩაავდო ერთმორწმუნეობა ჩვენთან და თვით შვილებრივი მოვალეობაც“, და უპასუხა ქართველოს:

„მის შემდეგ, რაც მამა ჩემმა, დედამ და ნათესავებმა აღიარეს თავისზე რუსის იმპერატორი, ერთხელ და სამუდამოდ უარვყავი იგინი, და არასდროს არ ვიქმნები რუსთა მთავრობის მოწყალეებათა მძებნელი“ (იქვე 230).

ტორმასოვმა ნახა, რომ სიწყნარის ზომებით შეუძლებელი იყო მიმხრობა ლევანისა, რომელიც „ავსებით „მისწებებოდა სპარსელებს“, უბრძანა მოესპოთ მასთან ყოველივე მსვლელობა და მოლაპარაკება. ეგ ღონისი არ არისო მის უდიდებულესობის კეთილმზრუნველობისა მისდამი, მიატოვეთო ეგე თავის უბედო ბედის ამარა, და ისეთ გარემოებაში ჩააყენეთო, რომ მან თავისი ატეხილი თავი თვითონვე მომგვარესო სინანულით ან-და სრულიად გამოეთხოვოსო მას. ხოლო ამისთვის კი მოიპოვებთ სახსრები და თქვენც გაქვთო ფული.. მოგაგონებთო, რომ მოდალატეთათვის იმპერატორს არა აქვსო ავითარი პატიება და შემწყნარება.

მაგრამ ფულით, მუდარით არა გამოვიდა—რა. ლევანის წარმატება იმ ზომამდე მიაღწია, რომ მის პიროვნების უგულებელყოფა შეუძლებელი შეიქმნა.

ოსეთში ამბოხი თანდათან გავრცელდა. ლევანის მომხრეთა რიცხვი გაიზარდა იმ ზომამდე, რომ აღარ დარჩა არავითარი იმედი მის (ლევანის) მოსყიდვისა. ეს ამბავი ტორმასოვმა „ობორონისათვის“ მუშაობას მოჰკიდა ხელი, ის ოფიციალურად წარუდგა სამეფონო საზოგადოებას თავის ეგვმით და მიიღო მისგან ნებართვა, შემდეგ პედაგოგიურ საბჭოსაც ოფიციალურად მისცა წინადადება, რომ დღეს „ობორონისთვის“ უნდა ვიმუშაოთო, წარმოუდგინა მას ხარჯთაღრიცხვა და სკოლასაც დიდ მოგებას დაპირდა. როდესაც აქედანაც დასტური მიიღო, ის მოხერხებულათ შეუდგა თავის საქმეს. „ობორონით“ შეჯავშნული ის შიშის ზარს სცემდა სამეფონეო საზოგადოებასაც და სკოლასაც. ის გავლენიანი პირი შეიქნა „სფერებში“. საწყალი შეგირდები სწავლის ნაცვლათ დილიდან საღამომდე კომბოსტოს და ჭარხლის რჩევას უნდებოდენ.

მახსოვს—ერთ იანვრის ღამეს, ის იყო შეგირდები დაწოლას ეპირებოდენ პანსიონში, როცა სკოლას სამიოდე ჭარხლით დატვირთული ფურგონი მოაყენეს გასაცლელათ. იანვრის ყინვაში პ. მელიამ ნახევრად ჩაცმული ბავშვები წამოიყვანა და ფურგონებს მიუსია გასაცლელად. მაგრამ რადგანაც ჭარხალი გაყინული იყო, 14—18 წლის მოზარდებს ხელები დეყოფნათ და ვეღარ შესძლეს მუშაობა, მიანებეს თავი ფურგონებს და სასკოლო ოთახისკენ წავიდენ. ეს ამბავი პ. მელიამ „ობორონის“ საწინააღმდეგო გაფიცვათ მონათლა, მაგრამ პედაგოგიური საბჭო მას არ დაეთანხმა და დიდი ვაი-ვაგლახით ჩაავლევინა შემდგარი საქმე.

ეს ამბავი საილუსტრაციოთ მოვიყვანე მელიას პედაგოგიური უნარის დასასურათებლად და დარწმუნებული ვარ ბაშინდელი შეგირდები ამ ფაქტს დაამოწმებენ.

რით დასრულდა პ. მელიას ამ წლის „ობორონაზე“ მუშაობა? სკოლას ოცდათორმეტი ათასი მანეთი ვალი დაადო, რომელიც სამეფონეო საზოგადოებამ „ობორონის“ შიშით თავის-თავზე მიიღო. (მე დარწმუნებული ვარ, ასე რომ არ მოხერხებულიყო საქმე, პ. მელია ბანქოს თამაშობას დაიბრალებდა ამ შემთხვევას, ან ვინმეს მონა ავდა ციხის დასაწამებლათ, მაგრამ ბედმა გაუღიმა და გადარჩა). შაშკოვსკიმ მელია თავის კაცად მიიღო და პირადად მიანდო მას ტყლაპის დამზადების საქმე. ესეც „ობორონა“ გახლდათ. აქაც მელიამ საზოგადოება დაიჩინა და ნებართვა აიღო სკოლაში მოეხდინა მთელი „სატყლაპო“ ოპერაცია. სკოლის ოთახები ტყლაპის საწყობად გადაქცია. შეგირდები ორ ჯგუფათ გაყო, ნახევარს დილით ამოშავებდა და საღამოთი გვასწავლებინებდა, მეორე ნახევარს კი დილით გვასწავლებინებთა და საღამოთი ამუშავებდა.

არ იფიქროთ, მკითხველნო, რომ პეტრე მელიას საბაღოსნო სკოლა მარტო ტყლაპის სავაჭროთ გადაექცეოს. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში სკოლა ერთგვარ ბირჟას წარმოადგენდა, სადაც ყოველგვარი სპეკულაცია ხდებოდა: სადაც სურამელი, ცხინვალელი, ქუთათური და ახალციხელი ებრაელი იყო, ყველა თბილისს საბაღოსნო სკოლას აწყდებოდა, ზოგი ტყლაპით, ზოგი ხორბლით, ზოგი შინდის ჩტჩით, ზოგი კვერცხით და ერთი დატვირთული ყველა ამის გამსაღებელი და გამყიდველი პეტრე მელია გახლდათ. მოგახსენებთ ფაქტს და დამტკიცებაც მიკისრნია. აი, საიდან შეიძინა მან ის მილიონები, რომ მელზედაც ის ასე თამამად გაიძახის თავის წერილში. მიბრძანეთ, რომელი დაწესებულების მოთავე გამდიდრებულა თავის მოვალეობის პირნათლათ ასრულებით? სპეკულიაცია და სასწავლებლის გამგებლობა ერთად ვერ მოთავსდება!

იმის მაგივრად, რომ სკოლის გამგე მუდამ შეგირდებს შორის ყოფილიყო. და მათთვის ეხელმძღვანელა, ის სკოლის ეზოში მთელი დღეობით უბრაელებსა და სომხის ჩარჩებს შორის იდგა და ვაჭრობას ეწეოდა.

შემდეგ მელიამ იჯარით აიღო სხვა მოვაჭრეებთან ერთად სკოლის ბაღის ერთი ყურე და ტყემლის მორსის ზავოდი გააკეთა. თითონ დღიან ღამიანა ამ ზავოდში იყო და სკოლის საქმე კვლავ არღვეოდა.

1918 წლის გაზაფხულის დამლევს, როცა ბორჯომიდან დაებრუნდი, ახირებული სურათი დამხვდა სკოლაში: სკოლის საგარდერობო ოთახი თუნუქით არის ფატენილი, ბიბლიოთეკის ოთახი კი გავსილია თოკებით, ლურს მებით, ტილოებით, საცვლებით, ნაალის პირებით და სხვა და სხვა საფარილმანოებით და ვაჭრობაა გაჩაღებული. სკოლის ბაღში კი პეტრე მელიას ძროხები და ხარებია აშვებული და მთელი ბოსტნეულობა და სხვა მცენარეები მოსპობილია. შეგირდ ბი (მესამე კლასი) შეძრწუნებული არიან და ყვირიან: აქ მელიას ნივთებს პარვენ და ის ჩვენ გვაბრალებსო. ეჭვი არ არის, ასეთი საქონლის სკოლაში დაგრეგვა ქურდობასაც გამოაწვევდა. ეს სამეფონეო საზოგადოებამაც იცოდა მაგრამ ჩემს განცხადებაზე, რომ სკოლის რევიზია მოეხდინათ, ყური არ გაიბერტყეს. მერე ერთ მშვენიერ დღეს გაჩნდა მილიციის მოხელე და ყველა ეს ნივთები ოთახებშიე ჩაბეჭდა.

ბიბლიოთეკის ოთახში სხვათა შორის შეგირდების სახელმძღვანელოებიც მოყვა. ბიბლიოთეკა ორ თვეს დაბეჭდილი იყო და შეგირდები უწიგნოთ დაეხეტებოდენ.

მე მკითხველებს თვალწინ გადავუშალე პეტრე მელიას მოღვაწეობის სურათი, ასე ვთქვათ, ხრონოლოგიურად. მე არ შეეხებიეარ ამ წერილში მის დამოკიდებულებას სახურსათო საბჭოსთან. ალბათ ამას პასუხს ამის ესახებ სხვები გასცემენ.

სკოლას არ აქვს ინვენტარის წიგნი, რა იყიდება და რა იკარგება, ვერავინ გაიგებს; სკოლის ბიბლიოთეკაში არ არის კატალოგი, არ არის წიგნები რიგზე დაწყობილი, ნახევარზე მეტი დაკარგულია, აკაფეს არც ერთს საკეტი არ აქვს, უსუფთაობა და უწესობა კულტათ არის აყვანილი. სკოლაში არ ა ის საკლასო ჟურნალები მთელი ოთხი წლის განმავლობაში (მხოლოთ მე შემრჩენია საკუთარი ჩემ მიერ შედგენილი საკლასო ჟურნალები) ამავე წლების განმავლობაში არ არის შედგენილი მოწაფეთა მუშაობის ტაბელი, ერთის სიტყვით ამ ოთხი წლის მუშაობის კვალი სკოლაში წაშლილია. ან სად ეცალა პ. მელიას სკოლისათვის?

მე კონკრეტიულ საზოგადოებრივი ხასიათის ბრალდებას ვუყენებ პეტრე მელიას:

1) მან ისარგებლა თავის თანამდებობით და სკოლის შენობა და ტერიტორია სპეკულიაციის ასპარეზათ გადააქცია.

2) ამ ოთხ წლის განმავლობაში არ შეუდგენია ინვენტარის სია და ბევრი სკოლის ქონება გაფლანგა, ზოგი ნებსით და ზოგიც უნებლიეთ.

3) ამ ხნის განმავლობაში არ აწარმოებდა შეგირდების სამუშაო ტაბელს.

4) განძრახ მიითვისა სკოლის ფული დორებმა ბაფასურის სახით.

5) მისი დაუდევრობით და უყურადღებობით მიიყვანა სკოლა სამარის კარამდის

ყველა ეს ფაქტია და ფაქტებითვე მოვითხოვ მათ გაბათილებას, თორემ ისეთი ადა-უბდით „მე ფ. მგელაძემ ბანქოს თამაში დამასწავლა და ფული მომიგოო“ „ან“ მას მე ფულები ვასესხე და მან ჩემი თავი დააჭერიხალ“ ფაქტების მიჩქმალვა, არ შეიძლება.

რახან პეტრე მელიას დაჭერის შესახებ ჭორიხდა ლაპარაკი, გაკვრით ამის ამბავსაც მოვახსენებ მკითხველს.

გულახდით უნდა მოგახსენოთ, რომ კაცის დაჭერა, თუნდა მტრისაც, არ მრმაჩნია საზოგადოებრივ ბრძოლის ნიადაგად და არც სასიხარულო მოელენათ ჩამითვლია ეს შემთხვევა. პირიქით, ბოდიში უნდა მოვიხადო იმ პირებთან, ვის წინაშეც ვშვენდგომლობდი პეტრე მელიას სასარგებლოთ, სწორედ იმ „მაღალი წრის“ პირებმა არა ერთხელ და ორჯელ მისაყვედურეს სპეკულიანტის გამოსარჩლება. ამას საჯაროთ ვამბობ და სიცრუე რომ ყოს, იმ პირების მაინც შემრცხვება, ვისთანაც მის შესახებ მისაუბრნია.

მე საბუთებით ხელში რევიზიას ვუცდიდი და სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რომ პეტრე მელიამ მოიწადინა ჩემთვის ჩირქის მოცხება „დაესწრო“. მე არა ვარ პეტრე მელიასავით „დიდი პიროვნება“ არც მასავით მშიშარა. ამისთვის ჩემი დანაშაულების აღიარება საჯაროთ შემიძლიან.

მე ბოდიშს ვიხდი საზოგადოების წინაშე, რომ ეხლა გამოვაქვეყნე ის უმსგავსობა, რასაც ადგილი ქონდა აბაღოსნო სკოლაში. მაგრამ... მაგრამ მელიას სისუსტეს უბრალო ადამიანის სისუსტეთ ვთვლიდი და ლმობიერებას ნებას არ მაძლევდა ჯვარზე გამეკრა ოდესმე ყოფილი ამხანაგი. მაგრამ როდესაც მელიამ ცხვრის ტყავი გაიხადა და თვისი შგლური თვისებები უსირცხვილოთ გამოაშკარავა,—ასაკვირველია ჩვენი კეთილ განწყობილება დაირღვეოდა. შარშან დეკემბერში პედაგოგიურ საბჭოში შევიტანე განცხადება სკოლის რევიზიის მოთხოვნის შესახებ. 24 ივლის ამა წლისა სამეფონეო საზოგადოებას მივეცი იმავე სახის განცხადება და სწორედ ამ გარემოებამ გააწყმატა პ. მელია და გამოალაშქრა ჩემს წინააღმდეგ.

მე კი მაინც ვნანობ ჩემს ამდენი ხნის დუმილს, ვაღვიარებ დანაშაულობას მკითხველთა წინაშე, მაგრამ პეტრე მელიას კი ვეტყვი:

გაზეთში წერა შენი საქმე არ არის, შენი ბნელი საქმენი პრესის სინათლეს ვერ გაუძლებს, არც სკოლის გამგებლობა არის შენი საქმე. შენი საქმე სპეკულიაცია არის და თუ მაგ გზას დაადგები, აღარავინ არ გამოგეკიდება ყბად ასაღებათ. ნუ აფარდებ შეუფარდებელს, ნუ არიგებ შეურიგებელს, ნუ იტევ დაუტევარს, ნუ ათავსებ ერთად მოუთავსებელ დარგებს და გახსოვდეს რუსული თქმულება: Всякъ сверчекъ, знай свой шестокъ.

ფ. მგელაძე.

უკანასკნელი პასუხი
გ. გურჯულაძეს.

სადავოდ იყო წარმოდგენილი შემდეგი კითხვები და ბურჯულაძესაც უნდა პასუხი მიეცა ამავე კითხვებზე:

1. რით არ მოსწონს მას ჩემი განმარტება რაც ვისა? რა ნაკლი აქვს?

2. რაში ნახა მან ჩემი უგზო-უკვლო ხეტიალი?

3. რა ნაკლი აქვს ზეპირ მრიცხველობას?

4. რა საჭიროა სხვა და სხვა სისტემის თვლის ცოდნა პირველი კლასისათვის?

5. რა ნაკლი აქვს წერით მრიცხველობას?

6. არის თუ არა ჩემს სახელმძღვანელოში შეცდომების განმარტება?

7. ოდენობის განმარტებას რა ნაკლი აქვს?

8. არის თუ არა სახელმძღვანელოში უდიდესი საერთო გამყოფის განმარტება?

9. არის თუ არა განმარტებული უმცირესი საერთო ჯერადი რიცხვი?

10. საჭიროა, თუ არა, რომ უმცირესი საერთო ჯერადი რიცხვის პოვნა სხვა ხერხითაც ეფიქლიყო?

11. არის თუ არა განმარტება ნაწილადისა სახელმძღვანელოში.

12. არის თუ არა რთულ და წარმოებულ პროპორციებზე საჭირო საუბარი?

13. სამთა წესი ნათლად არის გამოკვლეული თუ მექანიკურად?

არც ერთ ამ კითხვაზე ბურჯულაძის საპასუხოში მე ვერ ვხედავ პასუხს, გარდა ამისა რა სახელი უნდა დაერქვას ბურჯულაძის საქციელს, როცა იგი პირველ წერილში ამტკიცებდა, რომ ჩემს სახელმძღვანელოში არ არის განმარტება და როცა მე ვაჩვენე ეს განმარტება წიგნის მე-12 გვერდზე—იგი ბრძანებს: „შეკრების განმარტება არ ვარგა“?

მე, ვითომ და მისწორებს შეცდომას და აი რას ბრძანებს ჯამის შესახებ: ჯამია „ის რიცხვი, რომელიც შესაკრებთა ყოველივე ერთეულს შეიცავს“—ათეულებმა, ასეულებმა რაღა დააშავეს? განა ჯამში ათეულები არ არის? მოწაფეს ხომ ვასწავლით რომ გარდა ერთეულებისა რიცხვშია ა ეულები, ასეულები და სხვა!

რჩება ბურჯულაძე ეხება ხარისხად აყვანას—აი რა საქციელს ჩადის: „მოჰყავს მარტო პირველი ერთი წინადადება და ვითომ ამითი თავდება კითხვა ხარისხზე, მაგრამ ამოვწეროთ სახელმძღვანელოდან: როცა სამრაკლი და მრავლებელი ოდენობით ერთმანეთს ეთანასწორება—მაშინ ნამრავლს უწოდებენ ხარისხს, მაშასადამე, ხარისხი არის ნამრავლი, შედგენილი თანასწორი მრავლებლებისაგან, მაგ. 3:3=9; ცხრა მეორე ხარისხია სამისა, თვით სამი პირველი ხარისხია, 27—მესამე ხარისხია და სხვა.

ამოგლიჯა ბ. ბურჯულაძემ ერთი წინადადება წიგნიდან უკავშიროთ სხვა წინადადებებთან და ამის შემდეგ მეკითხება: „განა არ შეიძლება, რომ ხარისხი იყოს სამი, ოთხი თანასწორ რიცხვთა ნამრავლი?“ რომ წაგეკითხათ კარგად — წიგნში იპოვიდით პასუხს და შეტსაც.

რა სვინიდისით ხელმძღვანელობდით, როცა ამტკიცებდით, რომ სახელმძღვანელოში არ არის განმარტება მეკრებისა, როცა იგი არის?

რადა მწამებთ ცილს და ამტკიცებთ, რომ სახელმძღვანელოში არ არის განმარტება ნაწილადისა?

ესეც ხომ არეს!

რად სწერთ, რომ უდიდესი საერთო გამყოფის განმარტება არ არისო, როცა იგი არის?

რად სწერთ, რომ სამთა წესის განმარტება მექანიკურია, როცა ეს მართალი არ არის?

რად ჭგლეჯთ სახელმძღვანელოდან წინადადებას უკავშირთ ხვა წინადადებებთან, მაგალითად, როცა ეხებით ხარისხის კითხვას?...

რაც შეეხება ენას და ტერმინებს, რომელიც თქვენ არ მოგწონთ, აი რას გიპასუხებთ: თქვენ მიერ წარმოდგენილი ტერმინები ჯერ ხომ არ არის მიღებული საქართველოს სამეცნიერო აკადემიისაგან, რომელიც ჯერ არ დაარსებულა და რად გგონიათ, რომ თქვენი ტერმინები ჩემს ტერმინებზე უკეთესია? თქვენ ბრძანებთ—არ ვარგა? რით დაამტკიცეთ ეს? ხომ არ დაგიმტკიცებიათ? მაშ ნება მომეცით მეც მოგახსენოთ: „თქვენი ტერმინები სრულიად არ ვარგა“, განა ეს საქმის გადაწყვეტაა? ეს ბავშური საუბარია და მეტი არაფერი!

თქვენ სწერთ: „ენა უხეშია, მძიმე და ულაზათო“ რითი დაამტკიცეთ ეს? მე მგონია, რომ ამ საქციელის მიზეზად რომელსაც თქვენ ჩვეულებრივ მიმართავთ ხოლმე „კრიტიკაში“ დაუმტკიცებლათ: „არ ვარგა, ნათლად ვერ არის ახსნილი, არ გამოდგება, უხეშია მძიმეა, ულაზათოა.“ და სხვა, უნდა ჩაითვალოს ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც mania grandiosa-ს უწოდებენ.

მე არ ვიცავ ჩემს ენას, იქნებ თქვენ მართალი ბრძანდებით, მაგრამ თქვენ ჩემთვის ავტორიტეტი არ ხართ! გარდა ამისა, სამეცნიერო წიგნების შედგენა სუბუქი და ლაზათიანი ენით ჯერ-ჯერობით ჩვენში შეუძლებელი საქმეა და შეუძლებელი საქმის გაკეთება მე არ შემიძლიან: მე უბრალო მუშაკი გახლავართ, გენიოსობას არ ვიჩემები სუბუქი და ლაზათიანი ენის მქონე ავტორების რიცხვი, როგორც გამიგონია უკეთეს პროფესორებისაგან, (ტემირიაზევი, კაიგოროდოვი) ისეთი მცირეა მთელ ევროპაში, რომ ერთი ხელის თითებზე ჩაითვლება.

ზ. ზაალიშვილი.

წერილი რედ. მისართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო, რომ თქვენი გაზეთის უკანასკნელ ნომრებში გ. ბრონშტეინის ლექსები მე არ მეკუთვნის.

გ. ლეონიძე.

ქ. თბილისი.
22 ენკენისთვე.

მიმოსვლა
სახალხო მაყრალბლებისა
ს. ს. რკინიგზისა

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს.	5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	საღ.	8 ს.	7 წ.
ბათომში	№ 5	საღ.	5 ს.	4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს.	56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს.	30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს.	—
ფოთიდან	№ 4	საღ.	8 ს.	45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს.	10 წ.
ქუთაისიდან	№ 11, 12	დილ.	9 ს.	30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს.	06 წ.

თბილისი-სალოღლი

გადის სალოღლში

№ 8 საღამოს 6 ს. 5 წ.
№ 6 შუადღის 2 ს. 32 წ.
№ 4 საღამოს 9 ს. 50 წ.

მოდის სალოღლიდან.

№ 3 დილის 7 ს. 27 წ.
№ 5 ნაშუად. 3 ს. 5 წ.
№ 7 დილის 11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გ ა დ ი ს

№ 63 შუადღის 2 ს. 40 წ.
№ 61 დილის 7 ს. 52 წ.
№ 19,20 შუად. 3 ს. 26 წ.

მ ო დ ი ს:

№ 19,20 დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62 დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64 საღ. 8 ს. 4 წ.

თბილისი-სანაინი

გ ა დ ი ს:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მ ო დ ი ს:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასასვლელნი საქონელის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და ვორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

ექიმ ე. ჩიჯავაძის
ბაქტერიოლოგიური, სეროლოგიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული
ლაბორატორია
იღებს გამოსაკვლევად: **სიხლს (Wassermann'-ის, Weinberg'-ის, Widal'-ის** რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Obermeyr'-ის სპიროხეტები და სხვა). **შარდს, განავალს, ნახველს ოფეს, ლორწს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს კუჭის სითხეს და სხვას. აუტოგენიურ აცრებს ვაქცინას.**
26 მაისის (ოლოს) ქუჩა, გაბაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათ.
15—26988—1

ექიმი-ბალნეოლოგ-ფიზიოთერაპევტი
ბ. ა. ახვერდიანი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. ს-მდე სპეციალურად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე **მიხეილის ქუჩა № 7** ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.
50—2559—1

საუკეთესო კაბინეთი
მ. ა. ტუროელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესე და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

გ. გ. მეგრაგიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა, გულისა. იღებს ახალ რეფტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. დიდი სალენინიდი და ასევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 14—1
7—92.

საგანგებო კაბინეთი ექიმის
ზ. ბ. ბ. ბ